საქართველოს **დაბალემისიიანი განვითარების** გრძელვადიანი კონცეფციის განხორციელების **საგზაო რუკა**

დოკუმენტი მომზადებულია ანალიტიკური ცენტრის “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის” მიერ.

მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივის Climate Promise ფარგლებში, როგორც ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) მხარდაჭერის პროგრამის ნაწილი გერმანიის, იაპონიის, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს, შვედეთის, ესპანეთის, ბელგიის, ისლანდიის, იტალიის და პორტუგალიის მთავრობების, და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ძირითადი დონორების გულუხვი დაფინანსებით.

გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს (UN), მათ შორის გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), NDC-ის თანმშრომლობის მხარეების და გერმანიის, იაპონიის, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს, შვედეთის, ესპანეთის, ბელგიის, ისლანდიის, იტალიის და პორტუგალიის მთავრობების და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ძირითადი დონორების თვალსაზრისს.

დიზაინი: ForSet

შინაარსი

შემოკლებები 4

შესავალი 5

კონცეფციის მიზანი და სამიზნე მაჩვენებლები 7

კონცეფციის მიზნების მიღწევის ინსტრუმენტები 11

- პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო 11
- ინსტიტუციური მოწყობა 14
- კლიმატ-ტექნოლოგიების დანერგვა 16
- დაფინანსების წყაროები 21
- საგანმანათლებლო პროგრამები 27
- სამართლიანი გადასვლა 29
- გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა 34

კომუნიკაციის გეგმა 39

მონიტორინგი და შეფასება 41

საგზაო რუკა 43

ბიბლიოგრაფია 45

დანართი 1. კომუნიკაციის გეგმა 46

- საკომუნიკაციო მიზანი 46
- სამიზნე აუდიტორიების მიმოხილვა 48
- საკომუნიკაციო არხები და მეთოდები 49

შემოკლებები

BTR - ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიში

CSAP - კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა

EnC - ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება

LTS - გრძელვადიანი სტრატეგია

LT-LEDS - დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია

NAP - ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა

NDC - ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი

NECP - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა

SECAP - მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა

TAP - ტექნოლოგიების შემოტანის სამოქმედო გეგმა

TNA - კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასება

WOM - სათბურის აირების ემისიების საბაზისო სცენარი

WEM - სათბურის აირების ემისიების სცენარი დაგეგმილი ღონისძიებებით

WAM - სათბურის აირების ემისიების სცენარი დამატებითი ღონისძიებებით

შესავალი

საქართველო, როგორც გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის და პარიზის შეთანხმების მხარე, უერთდება საერთაშორისო ძალისხმევას ადამიანების საქმიანობით გამოწვეული კლიმატის ცვლილების შერბილებისკენ და მიზნად ისახავს 2050 წლისათვის გახდეს კლიმატნეიტრალური ქვეყანა. აღნიშნული მიზანი დეკლარირებულია საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიან კონცეფციაში (შემდგომში კონცეფცია), რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2023 წელს იქნა მიღებული.[1] საქართველოსთვის, კლიმატნეიტრალურობის მიზანთან ერთად, მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაც.

დაბალემისიიანი განვითარება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა არის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დღის წესრიგის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან და გაეროს 2030 დღის წესრიგთან (მდგრადი განვითარების მიზნებთან) ჰარმონიზაციის საკვანძო ნაწილიც. ევროკავშირის კლიმატნეიტრალურობის მისწრაფება ასახულია 2019 წელს მიღებულ „ევროპის მწვანე შეთანხმებაში“, რომელიც ეკონომიკის ყველა დარგის ტრანსფორმაციის ხედვას წარმოადგენს. საქართველო ევროინტეგრაციის პროცესის ფარგლებში გამოთქვამს მზადყოფნას, რომ ეკონომიკის ტრანსფორმაცია გახდეს ქვეყნის მაღალტექნოლოგიური განვითარების გზა, რომელიც ამავდროულად დაეყრდნობა სოციალური სამართლიანობისა და ინკლუზიური განვითარების პრინციპებს. 2023 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება კიდევ უფრო აძლიერებს ქვეყნის მისწრაფებას ამ მიმართულებებით.

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის ეფექტიანი აღსრულების მიზნით შეიქმნა საგზაო რუკა, რომელიც მოიცავს 2050 წლისთვის დასახული მიზნის მიღწევისთვის საჭირო ძირითად ნაბიჯებს და მათი განხორციელების პრინციპებს. საგზაო რუკა აანალიზებს არსებულ პოლიტიკურ, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ გარემოს და მიმოიხილავს დაბალემისიიანი განვითარებისთვის საჭირო პოლიტიკის ინსტრუმენტებს და ტექნოლოგიებს. საგზაო რუკა ყურადღებას ამახვილებს დაფინანსების სტრატეგიებსა და სამართლიანი გადასვლის, გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის მნიშვნელობაზე. დოკუმენტი ასევე მოიცავს განსაზღვრული მიზნების ეფექტიანი კომუნიკაციის მიდგომებსა და საზოგადოების ყველა ჯგუფის როლსა და პასუხისმგებლობას მდგრადი მომავლის შექმნაში.

დაბალემისიიანი განვითარება კომპლექსური ამოცანაა და გამოწვევებსა და სირთულებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული საგზაო რუკა ეყრდნობა საქართველოს

1. საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (2023). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.undp.org/ka/georgia/publications/georgia-low-emission-development-strategy-2050

დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის მიერ დასახული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ნაკლოვანებებისა და ბარიერების ანალიზს, რომელიც დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობითა და მონაწილეობით წარიმართა. დაბალემისიიანი განვითარება მხარს უჭერს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდას. ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში არსებული გამოწვევების გადაწყვეტა მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. წინამდებარე საგზაო რუკის მიზანია გამოკვეთოს აღნიშნული გამოწვევები და წარმოადგინოს მათი გადაჭრის გზები.

კონცეფციის მიზანი და სამიზნე მაჩვენებლები

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის მიხედვით, 2050 წლისთვის საქართველო **კლიმატნეიტრალური ქვეყანა** უნდა იყოს. კლიმატნეიტრალურობა გაიგება, როგორც **სათბურის აირების ემისიებისა და შთანთქმების აბსოლუტურ მნიშვნელობებს შორის ნულოვანი სხვაობა**. კლიმატნეიტრალურობა უნდა მიიღწეს ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პარალელურად. კლიმატნეიტრალურობა ასევე დაკავშირებულია კლიმატის ცვლილების **საადაპტაციო ღონისძიებების** განხორციელებასა და ქვეყნის მზაობასთან, გაუმკლავდეს კლიმატის ცვლილების პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებს. შესაბამისად, **საქართველოსთვის კლიმატნეიტრალურობის მიღწევა, ადაპტაციის პოტენციალის და კლიმატმედეგობის გაძლიერებასთან ერთად, წარმოადგენს ქვეყნის კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ძირითად მიზანს**.

კონცეფციის შემუშავების ფარგლებში ჩატარებული გამოთვლები და პროგნოზები ცხადყოფს, რომ 2050 წლამდე კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევა საქართველოსთვის რთული ამოცანაა, ამიტომ, კონცეფცია გვთავაზობს განვითარების ხედვებს ათწლეულების მიხედვით და შესაბამის შუალედურ მიზნებს. ათწლეულების შუალედური სამიზნე მაჩვენებლები ეყრდნობა გამოთვლებს, რომლებიც გულისხმობს თითოეულ სექტორში სათბურის აირების ემისიების საბაზისო (WOM), დაგეგმილ (WEM) და დამატებითი ღონისძიებების (WAM) პირობებში მიღწეული მაჩვენებლების (რაოდენობების) პროგნოზებს ქვეყნის პესიმისტური და ოპტიმისტური განვითარების ტრაექტორიების მიხედვით. კლიმატნეიტრალურობის მიღწევა მხოლოდ დამატებითი ღონისძიებებით არის შესაძლებელი. ეს ხედვები, ისევე როგორც მთლიანად კონცეფციის გრძელვადიანი ხედვა, საფუძვლად უნდა დაედოს კლიმატის ცვლილების ათწლიან სტრატეგიებს.

ცხრილი 1 *- სათბურის აირების ეროვნული ემისიის შუალედური სამიზნე მაჩვენებლები (გგ CO2-ექ ტყის სექტორის ჩათვლით) 2030, 2040 და 2050 წლებისათვის ოპტიმისტური და პესიმისტური განვითარების ტრაექტორიებისათვის, დაგეგმილი (WEM) და დამატებითი ღონისძიებებით (WAM)*

სცენარები		2030	2040	2050
WEM	ოპტიმისტური	14,879	18,839	24,736
	პესიმისტური	14,141	16,043	19,134
WAM	ოპტიმისტური	9,396	5,892	-20
	პესიმისტური	9,334	5,362	-801

წყარო: საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია

გასათვალისწინებელია, რომ კონცეფცია 2030 წლამდე ეყრდნობა კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას (2021-2023). კონცეფცია არ ადგენს შუალედურ სამიზნე მაჩვენებლებს, რაც მიმდინარე ცვალებად გარემოში მეტი მოქნილობის საშუალებას იძლევა. რაც უფრო სწრაფად დაიწყება ტრანსფორმაციის პროცესი, მით უფრო რეალური გახდება კლიმატნეიტრალურობის მიზნის მიღწევა. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკული გაერთიანების, ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის კონსულტაციების შედეგად, საქართველოსთვის განისაზღვრა სათბურის აირების შემცირების ახალი სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისათვის, რომელიც ითვალისწინებს სათბურის აირების შემცირებას 47%-ით (მიწათსარგებლობის, ცვლილებები მიწათსარგებლობაში და ტყის სექტორის ჩათვლით) 1990 წლის დონესთან შედარებით. ამასთან, საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი, ვალდებულია[2] შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგია (LTS) 30 წლიანი ხედვის პერსპექტივით, რომელიც თანხვედრაში იქნება ენერგეტიკული გაერთიანების კლიმატნეიტრალურობის მიზანთან. ეს შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ჩაანაცვლოს არსებული კონცეფცია გრძელვადიანი სტრატეგიით.

კონცეფცია კლიმატნეიტრალურობის მისაღწევად სწრაფ და ძირეულ ტექნოლოგიურ გადაიარაღებას ითვალისწინებს შემდეგ სექტორებში: ენერგეტიკა, შენობები, ტრანსპორტი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მიწათსარგებლობა და სატყეო მეურნეობა, ნარჩენები. თითოეულ სექტორში განსაზღვრულია ემისიების შემცირებისთვის საჭირო შემდეგი მიმართულებები:

ენერგეტიკა

- ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარება და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განახლება
- ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვა
- აქროლადი ემისიების შემცირების ტექნოლოგიების დანერგვა

შენობები

- არსებული შენობების ენერგოეფექტიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება, განახლებადი ენერგოტექნოლოგიების ინტეგრირება
- ენერგოეფექტიანი და თითქმის ნულოვანი ენერგიის მოხმარების შენობების მშენებლობა, განახლებადი ენერგოტექნოლოგიების ინტეგრირებით
- შენობების ენერგეტიკული სერთიფიცირების სქემების დანერგვა

2. მმართველობის რეგულაცია (EU) 2018/1999, მუხლი 15

ტრანსპორტი

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (საგზაო, სარკინიგზო, საბაგირო, საწყალოსნო, საჰაერო), მათ შორის საფეხმავლო, ველოსიპედის, მოპედის, ელექტრო ავტომობილების და ა.შ.
- ჭკვიანი ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის დანერგვა სატრანსპორტო სისტემებში მგზავრობის დროის შემცირებისა და საცობების შესამსუბუქებლად
- პარკირების პოლიტიკის გაუმჯობესება
- ენერგოეფექტიანი და სუფთა ენერგიაზე მომუშავე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის განვითარება
- ენერგოეფექტიანი და სუფთა ენერგიაზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების წილის ზრდა ავტოპარკში, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შემოღებით
- კერძო საავტომობილო მგზავრობებში პირადი ავტომობილით მგზავრობის ჩანაცვლება გაქირავების სერვისით
- ყველაზე ნაკლებ ეფექტიანი მანქანების იმპორტის შეზღუდვა, ამოღება ქვეყნის არსებული ავტოპარკიდან და ავტოპარკის საშუალო ეფექტურობის გაუმჯობესება
- საწვავის ხარისხის გაუმჯობესება, 2030 წლისათვის ევრო 6 სტანდარტის და 2040 წლისათვის ევრო 7 სტანდარტის მიღება
- მატარებლების პარკის გაზრდა და რკინიგზით მგზავრობის და ტვირთბრუნვის ხელშეწყობა
- მძღოლებისთვის ეკო-მართვის კურსების დანერგვა და ცნობიერების ამაღლება
- ბიოდიზელის წარმოების ხელშეწყობა

მრეწველობა

- კლიმატმეგობრული წარმოების ხელშეწყობა, ემისიებით ვაჭრობის სქემებში მონაწილეობის წახალისება
- ენერგოეფექტიანი, რესურსდამზოგი და ალტერნატიული ენერგოტექნოლოგიების დანერგვა წარმოების პროცესში. ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემის მხარდაჭერა და დანერგვა
- ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების და ტექნოლოგიების დანერგვა
- სამრეწველო პროდუქტებისათვის კლიმატის მარკირების სისტემის შემუშავება

სოფლის მეურნეობა

- კლიმატგონივრული პრაქტიკების დანერგვა მიწათმოქმედებაში
- სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციის შეჩერება, მათი აღდგენა, არსებული სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების, საძოვრების ეფექტიანობის გაზრდა

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა და მათი გადამუშავების ინტენსიფიკაცია, საბაზრო და საექსპორტო ხარისხის მიღწევისაკენ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქების, მაცივრების, გადაზიდვების სათანადო რაოდენობის, დონისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- ფერმერულ მეურნეობებში ნაწლავური (ენტერული) ფერმენტაციიდან მეთანის ემისიების შემცირების პრაქტიკის დანერგვა
- ნაკელის მართვიდან მეთანის ემისიების შემცირება
- აზოტის ქვეჟანგის პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიების შემცირება სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებიდან
- საკვები ნარჩენების შემცირება

მიწათსარგებლობა და სატყეო მეურნეობა

- სახნავ-სათესი სავარგულების კლიმატგონივრული და მაღალტექნოლოგიური და მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვა
- მიწის მართვის მდგრადი პრაქტიკების დანერგვა
- მდგრადი ურბანული დაგეგმარების ხელშეწყობა
- ტყის სისტემური ინვენტარიზაცია
- ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკების დანერგვა, ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება

ნარჩენები

- ნარჩენების შემცირების და გადამუშავების ხელშეწყობა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პრაქტიკების დანერგვით, მონაცემების შეგროვების გაუმჯობესება
- ნარჩენების მართვის მდგრადი პრაქტიკების დანერგვა
- ქვეყანაში არსებული უმართავი და სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა და ნარჩენების მდგრადი მართვის უზრუნველყოფა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი რეგიონული ნაგავსაყრელების განვითარება ქვეყნის მასშტაბით.
- ჩამდინარე წყლების მართვის გაუმჯობესება: ახალი წყალგამწმენდი ნაგებობების მშენებლობა და ა.შ. მეთანის ამოღების ტექნოლოგიების დანერგვა
- კომპოსტირების მდგრადი პრაქტიკის დანერგვა.

კონცეფციის მიზნების მიღწევის ინსტრუმენტები

პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენს **კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის** მხარედ ყოფნა და **პარიზის ხელშეკრულების** ხელმოწერით აღებული ვალდებულებები. საქართველო კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის წევრია 1994 წლიდან (დანართ 1-ში არშესული ქვეყანა) და ასრულებს ყველა ვალდებულებას ამ კონვენციის მიმართ, მონაწილეობს მისი ეგიდით მიმდინარე ყველა პროცესსა და ინიციატივაში.

2015 წელს საქართველომ ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებას და წარადგინა ქვეყნის ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტი, ხოლო 2021 წელს წარადგინა ამ დოკუმენტის განახლებული ვერსია - ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (Updated NDC). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საქართველო იღებს უპირობო ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით შეამციროს, ხოლო საერთაშორისო მხარდაჭერის მიღების შემთხვევაში, ქვეყანა მზადაა 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 50-57%-ით შეამციროს.[3] NDC - ზე დაყრდნობით შემუშავდა **კლიმატის ცვლილების სტრატეგია** (2030 წლამდე) და **სამოქმედო გეგმა** (2021-2023), რომელიც ყოველ 2 წელიწადში ერთხელ განახლდება. სტრატეგია მოიცავს დეტალურ სამიზნე მაჩვენებლებსა და ღონისძიებებს შესაბამისი სექტორებისათვის.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მიზნები ასევე მოცემულია სექტორულ სტრატეგიებსა (ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა, NECP) და მუნიციპალურ სტრატეგიულ დოკუმენტებში (მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმები, SECAP). **მიმდინარეობს მუშაობა ადაპტაციის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე** (NAP).

3. საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (2021). https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/50125

2023 წელს, პარიზის ხელშეკრულების შესაბამისად,[4] მიღებულ-იქნა საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია,[5] რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, მოიცავს კლიმატნეიტრალურობის მიღწევის გრძელვადიან ხედვას.

გარდა ამისა, პარიზის შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს ასევე ევალება სათბურის აირების ინვენტარიზაციისა, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესრულების პროგრესისა და ადაპტაციის შესახებ ანგარიშგება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. საქართველო ამჟამად შეიმუშავებს სხვადასხვა დოკუმენტებს კლიმატის ეროვნული პოლიტიკის განვითარებაზე შემდეგ ვადებში:

- ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) განახლება - ყოველ 5 წელიწადში
- ადაპტაციის ეროვნული გეგმა (NAP) - ყოველ 5 წელიწადში
- კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგია - ყოველ 10 წელიწადში
- კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (CSAP) - ყოველ 2 წელიწადში
- გრძელვადიანი სტრატეგია 30 წლიანი ხედვის პერსპექტივით (LTS) – ყოველ 10 წელიწადში
- საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა (NEAP) - ყოველ 4 წელიწადში
- ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიში (BTR) - ყოველ 2 წელიწადში
- ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ UNFCCC-სადმი - ყოველ 4 წელიწადში
- ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული გეგმა (NECP) - ყოველ 10 წელიწადში 2033 წლის შემდეგ
- მუნიციპალიტეტების მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სტრატეგიები - ყოველ 10 წელიწადში

საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან ერთად, საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები **ეროვნული კანონმდებლობით** რეგულირდება. ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 29). გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს **კანონი გარემოს დაცვის შესახებ** და სხვა ნორმატიული აქტები არეგულირებს.

4. პარიზის შეთანხმება, მუხლი 4, პარაგრაფი 19: ყველა წევრი (სახელმწიფო) უნდა ეცადოს, რომ ჩამოაყალიბოს და წარადგინოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, მუხლი2-ის შესაბამისად, საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობის შესაბამისად და განსხვავებული ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით. (Article 4, Paragraph19 of the Paris Agreement: [a]ll Parties should strive to formulate and communicate long-term low greenhouse gas emission development strategies, mindful of Article 2 taking into account their common but differentiated responsibilities and respective capabilities, in the light of different national circumstances

5. კონცეფცია შემუშავდა საქართველოს მთავრობის 629-ე დადგენილება (20/12/2019) „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. ამიტომ გრძელვადიანი (10 წელზე მეტი) ხედვის გამო მას სტრატეგიის ნაცვლად კონცეფცია ქვია. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5788653?publication=0

საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოს სრულყოფის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა **კლიმატის ცვლილების კანონზე**. კანონი შექმნის ჩარჩოს საქართველოში კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვისა და აღსრულებისათვის. კლიმატის ცვლილების კანონის თეთრი წიგნი, ადასტურებს საქართველოს გრძელვადიანი დაბალემისიიანი განვითარების მიზანს - კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევას 2050 წლისთვის და ადაპტაციის პოტენციალის გაძლიერებას. კლიმატის ცვლილების კანონი უზრუნველყოფს აღნიშნული მიზნების მიღწევის მონიტორინგს, რომელსაც სახელმწიფო განახორციელებს საპარლამენტო დონეზე, ახალი ორგანოების - **კლიმატის ცვლილების მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს** (PPCCC) **და კლიმატის ცვლილების საკონსულტაციო ჯგუფის მეშვეობით.**

კონცეფცია და კლიმატის ცვლილების კანონის თეთრი წიგნი მთელი რიგი პოლიტიკის ინსტრუმენტების დანერგვას ითვალისწინებს, მათ შორის:

- NDC-ით გათვალისწინებული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის პროცესის მონიტორინგი პარლამენტის მხრიდან.
- მდგრადი და ეფექტიანი მონიტორინგის, ანგარიშგების და დამოწმების (MRV) სისტემის ჩამოყალიბება.
- შეიქმნება საქართველოს ემისიებით ვაჭრობის სისტემა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემის სქემით დადგენილ პრინციპებსა და მიდგომებთან.
- ნახშირბადის საზღვრის კორექტირების მექანიზმის (CBAM) დანერგვა საქართველოში. ნახშირბადის საზღვრის კორექტირების მექანიზმი ფუნქციონირებს ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სქემის (ETS) პარალელურად, ასახავს ემისიებით ვაჭრობის სქემის ეფექტებს არა ევროკავშირის მწარმოებლებისთვის და აფართოებს ემისიებით ვაჭრობის სქემის გამოყენებას. ნახშირბადის საზღვრის კორექტირების მექანიზმი საქართველოში წაახალისებს არსებულ, განსაკუთრებით ევროპულ ბაზარზე ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებს მიიღონ ზომები ემისიების შესამცირებლად.
- საქართველოში წარმოებულ და იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებული ემისიების გაზომვა.
- ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და მონაცემთა ანალიზის და საკონსულტაციო პროცესის ხელშეწყობა - კლიმატის ცვლილების მავნე ზემოქმედების შესაძლო შედეგების პროგნოზირება, ექსტრემალური მოვლენებისა და ნელა მიმდინარე პროგრესირებადი მოვლენების ზემოქმედების საპასუხოდ შესაძლებლობების გაძლიერება, რათა თავიდან იქნას აცილებული ან მინიმუმამდე შემცირდეს ზარალი და ზიანი.
- მუნიციპალიტეტებისთვის ვალდებულების დაკისრება შექმნან და განახორციელონ კლიმატის ცვლილების ადგილობრივი სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს როგორც კლიმატის ცვლილების შერბილების, ისე ადაპტაციის გეგმებს. აღნიშნული დაევალებათ იმ მუნიციპალიტეტებსაც, რომლებიც არ არიან მერების შეთანხმების ხელმომწერები.

ინსტიტუციური მოწყობა

კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავება და საერთაშორისო ანგარიშგება საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა. ამ პროცესში პოლიტიკის განმახორციელებელი ძირითადი უწყება **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროა**. სამინისტროში ამ მიმართულებით მუშაობს **გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი**, კერძოდ, კი მისი კლიმატის ცვლილების სამმართველო. სამინისტროს ქვესაუწყებო ორგანო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, ასრულებს მონაცემების შეგროვების, სისტემატიზაციის, ტენდენციების, ანალიზის და პროგნოზირების ფუნქციებს. გარდა ამისა, ქვეყანაში არსებობს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, **გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი**, რომელის ძირითადი მიზნებია საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება, საჯარო განხილვების ორგანიზება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა და გარემოსდაცვით და აგრარულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ცენტრი ასევე ახორციელებს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოში წარსადგენი ანგარიშების მომზადების პროცესის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და აღსრულებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ **დარგობრივი სამინისტროები**, მათ შორის: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო. მონაცემების ხელმისაწვდომობის მხრივ მნიშვნელოვანი როლი საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატს) აკისრია. ეროვნული ბანკი მდგრადი დაფინანსების პოლიტიკის დანერგვას ახორციელებს, ხოლო ფინანსთა სამინისტრო კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ფინანსურ რესურსებს მართავს. შინაგან საქმეთ სამინისტრო, თავისი საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მეშვეობით, ჩართულია კლიმატის ექსტრემალური მოვლენებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვაში.

კლიმატის ცვლილების შერბილების და მასთან ადაპტაციის პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების კოორდინაციის მიზნით, 2021 წელს შეიქმნა **კლიმატის ცვლილების საბჭო**, მაღალი დონის უწყებათაშორისი ორგანო, რომლიც შედგება საქართველოს მთავრობის წევრების – მინისტრების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, საკოორდინაციო ჯგუფის თავმჯდომარისა და სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორისაგან. საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი. საბჭოში ასევე

შედიან მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტების საკოორდინაციო ჯგუფი და სამუშაო ჯგუფები.

საკოორდინაციო ჯგუფი არის საბჭოს მრჩეველი ორგანო კლიმატის ცვლილების სფეროში სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებს შორის კოორდინაციის საკითხებზე, რომელიც შედგება მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტების მერებისგან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილისა და სახელმწიფო რწმუნებულებისგან.

სამუშაო ჯგუფი არის საბჭოს მრჩეველი ორგანო ეკონომიკურ და სოციალურ დარგებში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის კონკრეტული საკითხების დასამუშავებლად, რომელიც შედგება საჯარო მოხელეებისგან, ექსპერტებისა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფს ქმნის და მის შემადგენლობას ამტკიცებს საბჭო[6].

კლიმატის ცვლილების კანონის სამუშაო ვერსიით, ამჟამად არსებულ ინსტიტუციურ ჩარჩოს დაემატება **კლიმატის ცვლილების მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო** და მისადმი დაქვემდებარებული **კლიმატის ცვლილების საკონსულტაციო ჯგუფი**. კლიმატის ცვლილების მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო დაკომპლექტდება შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეების, დეპუტატების, გარე ექსპერტების და სამოქალაქო ორგანიზაციების, მათ შორის, კლიმატის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებისგან, და იქნება გარანტი იმისა, რომ საქართველო განახორციელებს სწორ და ეფექტურ ქმედებებს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციისთვის, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. მის მოვალეობებში შევა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მისი განხორციელების მონიტორინგი, ემისიების შემცირების პროგრესის მონიტორინგი, ასევე დაინტერესებული მხარეების და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა.

საბჭო შექმნის *კლიმატის ცვლილების საკონსულტაციო ორგანოს*, რომელიც დაკომპლექტდება კლიმატის ცვლილების და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან და რჩევებით, ანალიზით და ინფორმაციით უზრუნველყოფს საბჭოსა და მთავრობას. მას დაევალება რეგულარული ანგარიშების მომზადება სათბურის აირების ემისიის შემცირების და საბოლოო მიზნის მიღწევის, ადაპტაციის და სამართლიანი გადასვლის პროცესის პროგრესის შესახებ, წარუმატებლობის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება მომავალი სტრატეგიული გეგმებისათვის, ასევე რეკომენდაციების მომზადება იმ შემთხვევებისათვის, თუ მთავრობა აპირებს გრძელვადიანი მიზნის/სამიზნე მაჩვენებლის ან სავალდებულო სათბურის აირების ჩამონათვალის ცვლილებას.

6. საქართველოს მთავრობის დადგენილება კლიმატის ცვლილების საბჭოს შექმნის შესახებ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4780380?publication=0

კლიმატ-ტექნოლოგიების დანერგვა

სუფთა, ინოვაციური და მდგრადი ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია კონცეფციის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. კლიმატ-ტექნოლოგიები მოიცავს როგორც, კლიმატის ცვლილების შერბილების, ისე - მასთან ადაპტაციის ტექნოლოგიებს.

სწრაფად განვითარებადი ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნების მიერ მოქნილი და დინამიური ინოვაციური გარემოს შექმნას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოწინავე ტექნოლოგიების დაჩქარებულ შემოტანას, მათ ადაპტირებას და ფართო დანერგვას; ახალი ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვანია როგორც კლიმატის ცვლილების შერბილების, ისე - მასთან ადაპტაციის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების მუდმივი მონიტორინგი და ქვეყანაში ტექნოლოგიური განვითარებით დაინტერესებული მხარეების მძლავრი მაკოორდინირებელი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების, მათ შორის კლიმატ-ტექნოლოგიების კვლევებს, შემოტანას, დანერგვას და ადგილობრივ დონეზე განვითარებასაც. ამ მხრივ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიური განვითარების ინსტიტუციური, პოლიტიკური და ფინანსური მექანიზმების შექმნას. უნდა ჩამოყალიბდეს მდგრადი პროცესი სახელმწიფოს, ბიზნეს ასოციაციების, აკადემიური ინსტიტუტების, კვლევითი და ანალიტიკური ცენტრების მონაწილეობით, რომლის საშუალებითაც მოხდება შესაბამისი ინფორმაციის და ცოდნის შეგროვება, გავრცელება და გამოყენება ტექნოლოგიების განვითარებისთვის.

ტექნოლოგიური გარდაქმნა ხანგრძლივი პროცესია, ამიტომ საგზაო რუკა აყალიბებს ამ პროცესისადმი ეტაპობრივ მიდგომას ათწლეულების მიხედვით, რაც შეესაბამება კონცეფციის გრძელვადიან ხედვას:

I - 2021-2030 ათწლეული

კლიმატ-ტექნოლოგიური გადაიარაღების სისტემის ამოქმედება და ხელშემწყობი გარემოს დახვეწა

2021-2030 ათწლეული კონცეფციაში განსაზღვრულია როგორც ტექნოლოგიური გადაიარაღებისათვის მომზადების ათწლეული, რომელმაც სათავე უნდა დაუდოს კლიმატ-ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვის მთელ პროცესს 2050 წლამდე, და უზრუნველყოს ამ პროცესის წარმატება. ამის უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას და დაიხვეწოს ტექნოლოგიების შემოტანისა და ინოვაციების ხელშეწყობის მექანიზმები, მოიხსნას არსებული ბარიერები და გაუმჯობესდეს

ხელშემწყობი გარემო, რაც შექმნის სტაბილურ საფუძველს უწყვეტი ტექნოლოგიური განვითარებისათვის მომდევნო ათწლეულებში. ეს რთული სისტემური ამოცანაა და მრავალი მიმართულებით ერთდროულ მოქმედებას მოითხოვს, კერძოდ:

- **ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკური ჩარჩოს შექმნა**, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს მდგრადი ტექნოლოგიების განვითარებას და დანერგვას. საქართველომ უკვე მკაფიოდ განსაზღვრა განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარების სამიზნე მაჩვენებლები. შემუშავების პროცესშია ადაპტაციის ეროვნული გეგმა, რომელიც ასევე განსაზღვრავს ადაპტაციის სამიზნე მაჩვენებლებსაც. საჭიროა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების აქტიური ინფორმირება და შესაძლებლობების გაზრდა კლიმატური ცვლილებების და შესაბამისი ტექნოლოგიური განვითარების საჭიროების მიმართულებით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს კლიმატური ტექნოლოგიების სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკური მზაობა.
- **საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების პოლიტიკაში გათვალისწინებულ იქნას კლიმატ-ტექნოლოგიების ეროვნული სისტემის ხედვა**. გამოვლინდეს ამ ხედვასთან განსხვავებები და ჩამოყალიბდეს განხორციელების გეგმა. მოხდეს არსებული ხელშემწყობი გარემოს და მოქმედი ინსტიტუციური მექანიზმების, პროფესიული ცოდნის და უნარების შეფასება და მონიტორინგი მათი შემდგომი დახვეწის მიზნით. დაიწყოს მოწინავე ქვეყნების სტანდარტის ტექნოლოგიური ინოვაციური სისტემის მშენებლობა მაღალი პოლიტიკური ჩართულობით, კერძო ბიზნესის მონაწილეობით. კვლევის და ინოვაციის წილობრივი ხარჯების გაზრდა მოწინავე ქვეყნების დონემდე 2030 წლისთვის.
- **კლიმატ-ტექნოლოგიების გამოვლენა და ბარიერების ანალიზი**, ცალკეულ სექტორებში გამოვლინდეს პრიორიტეტული კლიმატ-ტექნოლოგიები და შესაბამისი ბარიერები. საქართველოს კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების მე-3 შეფასების ფარგლებში, რომელიც 2021-2023 წლებში დაბალემისიიანი განვითარების კონცეფციის შემუშავების პარალელურად წარიმართა, შეიქმნა ორი დოკუმენტი: საქართველოს კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასება (TNA) და ტექნოლოგიების შემოტანის სამოქმედო გეგმა (TAP), რომლებშიც დეტალურადაა გამოკვლეული ყველა განხილული სექტორისათვის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიები, ხოლო პრიორიტეტულად შეფასებული სექტორების (ენერგეტიკა, შენობები, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა) რამდენიმე ტექნოლოგიისთვის დაწვრილებით არის გამოკვლეული, ასევე, ხელშემშლელი ბარიერები, დაინტერესებული მხარეები და განხორციელებისათვის საჭირო პირობები და ქმედებები.
- **კლიმატ-ტექნოლოგიების გადმოტანის გამოვლენილი ბარიერების დაძლევა და ხელშემწყობი გარემოს განვითარება**. მოხდეს გამოვლენილი

საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სხვა ხარვეზების ეტაპობრივი აღმოფხვრა. ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა გულისხმობს საკანონმდებლო-მარეგულირებელი ბაზის მოწესრიგებას; ფინანსური სექტორის გაძლიერებას ამ ტექნოლოგიების დაფინანსების რისკების მართვის მიმართულებით; ახალი ტექნოლოგიებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას; ტექნოლოგიების ოპერაციონალიზაციისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მქონე პერსონალის მომზადებას; და მომსახურების ცენტრების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ახალ ტექნოლოგიებს სათადარიგო ნაწილებით და ხელოსნებით.

- **კლიმატ-ტექნოლოგიებზე კვლევისა და განვითარების (R&D) ხელშეწყობა**. წახალისდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის R&D ინიციატივები, რომლებიც ორიენტირებულია უკვე გამოლენილ პერიორიტეტულ სექტორებზე. მოწინავე ევროპულ და საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა (Horizon Europe, LIFE, COST და სხვა პროგრამები). უნივერსიტეტების ბაზაზე ტექნოლოგიური ცოდნის გადმოტანა და მათ განვითარებაზე მუშაობის დაწყება. პილოტური პროექტების განხორციელება, ტექნოლოგიების ტესტირება, შემდგომი ფართო დანერგვისთვის მომზადება. პილოტური პროექტების გამოცდილების გავრცელება და დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება.
- **კლიმატ-ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჯარო და კერძო პარტნიორობის ხელშეწყობა**. გაძლიერდეს მთავრობას, აკადემიასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობით. ამ პარტნიორობებს შეუძლიათ გამოიყენონ თითოეული სექტორის ძლიერი მხარეები ტექნოლოგიების განვითარების, კომერციალიზაციისა და დანერგვის დასაჩქარებლად.
- **ტექნოლოგიების გადაცემა და შესაძლებლობების გაძლიერება**. ხელი შეუწყოს ტექნოლოგიების გადაცემას და ცოდნის გაზიარებას ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებს შორის. გლობალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათ შორის ტექნოლოგიების გადაცემის შეთანხმებები, ერთობლივი კვლევითი პროექტები და მონაწილეობა საერთაშორისო ინოვაციურ პროგრამებში. საწყის ეტაზე უპირატესობა მიენიჭოს ისეთი კლიმატ-ტექნოლოგიების შემოტანას, რომლებიც გააიოლებენ სხვა ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვას. პრიორიტეტული მიმართულებებით ტექნიკური და ტექნოლოგიური ცოდნის ამაღლება. პროფესიული კადრების (ტექნიკოსის და მემონტაჟის) მომზადება. ამაღლდეს პროფესიული და საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები და ტექნიკური უზრუნველყოფა. ეს ასევე მოიცავს ახალ სასწავლო პროგრამებს, უნარების განვითარების ინიციატივებს და საგანმანათლებლო კამპანიებს ცნობიერების ამაღლებისა და მდგრადი პრაქტიკის გაგების ხელშესაწყობად. ამ პროცესს

უწყვეტი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას სატრენინგო ცენტრები, განისაზღვროს სტანდარტები და ჩამოყალიბდეს სერტიფიცირების პროცესი. ტრენინგებისა და სერტიფიცირების სისტემის ამოქმედება ხელს შეუწყობს ასევე პერსონალის მომზადებას ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრებისათვის, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ახალი ტექნოლოგიები სათადარიგო ნაწილებით და ხელოსნებით, რომელთაც შეეძლებათ ავარიული სიტუაციების მართვა და დაზიანების აღმოფხვრა.

- **მდგრადი ტექნოლოგიების სფეროში მეწარმეობისა და ინოვაციების მხარდამჭერი გარემოს შექმნა.** განვითარდეს ინოვაციური ჰაბები, ინკუბატორები და ამაჩქარებლები, რათა ხელი შეუწყონ სტარტაპებს და მცირე და საშუალო ბიზნესს, რომლებიც მუშაობენ მწვანე ტექნოლოგიების გადაწყვეტილებებზე. გაიზარდოს მონაწილეობა გლობალურ ინიციატივებში, საუკეთესო პრაქტიკების ურთიერთგაზიარება და საერთაშორისო დაფინანსების მექანიზმების გამოყენება ეროვნული ძალისხმევის მხარდასაჭერად.
- **მდგრად ტექნოლოგიებზე მოთხოვნის გასაძლიერებლად საბაზრო მექანიზმების შექმნა.** ეს მოიცავს არა მხოლოდ მომხმარებელთა განათლების, ცნობეირების ამაღლების კამპანიებს, არამედ საჯარო მწვანე შესყიდვების პოლიტიკას და სერტიფიცირების სქემებს, რომლებიც სტიმულს აძლევს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და სერვისების მიღებას.
- **ტექნოლოგიების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების დანერგვა** პროგრესის ეფექტურობის ანალიზისთვის. რეგულარულად და კოორდინირებულად გადაიხედოს და განახლდეს კლიმატ-ტექნოლოგიების მხარდამჭერი პოლიტიკა და პროგრამები, დაინტერესებული მხარეების მოსაზღებების და ნასწავლი გაკვეთილების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ მოცემული მიმართულებებით მუშაობა უნდა გაძლიერდეს მიმდინარე ათწლეულში და ასევე გაგრძელდეს შემდეგ ათწლეულებში.

II - 2031-2040 ათწლეული

კლიმატ-ტექნოლოგიების ბაზარზე დამკვიდრება და ტექნოლოგიური განვითარების სისტემის შემდგომი დახვეწა

წინა ათწლეულში განხორციელებული სამუშაოების საფუძველზე, ამ ათწლეულში ინტენსიურად წარიმართება ახალი ტექნოლოგიების შემოტანისა და დანერგვის

პროცესი. წინა ათწლეულში დაწყებული პროცესები გრძელდება და იხვეწება, მკაცრდება რეგულაციები არაეფექტური ტექნოლოგიების მიმართ. იზრდება კვლევის და განვითარების მიმართულებით სახელმწიფო დაფინანსება.

მოსალოდნელია, რომ სათბურის აირების ემისიები 30-იანი წლების შუა პერიოდამდე გაიზრდება, შემდეგ კი კლების ტენდენცია შენარჩუნდება. ეს შესაბამისობაშია პარიზის შეთანხმებასთან და ევროკავშირის ხედვასთან ემისიების შემცირების ტრაექტორიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც **რაც შეიძლება ადრე უნდა მოხდეს მაქსიმალური ემისიების რაოდენობის მიღწევა**.

იგულისხმება, რომ ამ ათწლეულში მოქმედებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა და შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიების დამატება და/ან არსებულის მოდიფიცირება, რაც აისახება *ორწლიანი გამჭვირვალობის ანგარიშებში* საჭირო დახმარებების შესახებ.

III - 2041-2050 ათწლეული

კლიმატ-ტექნოლოგიების გადმოტანასთან ერთად ადგილობრივი წარმოების განვითარება

ეს ათწლეული ხასიათდება ინოვაციებით და მუდმივი გაუმჯობესებით. ტექნოლოგიური განვითარების არსებული მძლავრი ეროვნული სისტემა ხელს უწყობს კლიმატ-ტექნოლოგიების შემდგომ ინოვაციურ განვითარებას, ხორციელდება თანმიმდევრული ინვესტირება კვლევასა და განვითარებაში კლიმატ-ტექნოლოგიების ეფექტიანობის გაზრდის, ხარჯების შემცირების და მიმდინარე გამოწვევების დაძლევის მიმართულებით. განვითარებულია კლიმატ-ტექნოლოგიების ადგილობრივი წარმოება და ჩამოყალიბებულია ტექნოლოგიების ლიცენზირების მექანიზმები.

ხორციელდება გლობალურად ახალი ტექნოლოგიური მიღწევების განგრძობადი მონიტორინგი და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, მოწინავე ევროპულ და საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა. კიდევ უფრო იზრდება კვლევითი ინსტიტუტების და უნივერსიტეტების ბაზაზე არსებული ტექნოლოგიების დახვეწა განვითარება. იზრდება კვლევის და განვითარების მიმართულებით სახელმწიფო დაფინანსება მოწინავე ქვეყნების დონემდე.

ეფექტიანი, ენერგოდამზოგავი, სუფთა და კლიმატ-მეგობრული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს კლიმატნეიტრალურობის მიზნის მიღწევას, სათბურის აირების

ემისიების განუხრელ შემცირებას მოსახლეობის და ეკონომიკის ზრდის პარალელურად. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ტექნოლოგიები და პრაქტიკები კი ხელს უწყობს ქვეყნის კლიმატ-მედეგობის შესაძლებლობის ზრდას. მდგრადი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს, როგორც კლიმატნეიტრალურობის ისე ადაპტაციის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესის გამჭვირვალე ანგარიშგებას.

დაფინანსების წყაროები

კლიმატის დაფინანსება მოიცავს ყველა საქმიანობას, რომელიც შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც კლიმატის ცვლილების შერბილების და/ან კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ქმედება. საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი **კონცეფციის დოკუმენტი მოიცავს კლიმატის დაფინანსების სტრატეგიის ხედვას**, რომელიც აღწერს კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ქმედებებს შესაბამისი ბიუჯეტებით, ასევე - ინფორმაციას საერთაშორისო და ადგილობრივი დაფინანსების წყაროების შესახებ.

კლიმატის ცვლილების კანონის **სამუშაო ვერსია**[7] ითვალისწინებს კონცეფციაში ჩამოყალიბებულ ფინანსური სტრატეგიის ხედვას, აყალიბებს შემდეგ პრინციპებს კლიმატის დაფინანსების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის:

1. კლიმატის ცვლილებასთან, მათ შორის, მის შერბილებასთან, მასთან ადაპტაციასთან და ამინდის ექსტრემალურ მოვლენებთან დაკავშირებული ხარჯების ზუსტი აღრიცხვა და გამჭვირვალე მონიტორინგი,
2. კლიმატის ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და
3. კერძო-საჯარო პარტნიორობის გაძლიერება დაბალემისიიანი და კლიმატისადმი მედეგი განვითარებისათვის.

საგზაო რუკაში დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი ხედვის განხორციელებისთვის წარმოდგენილია მისი დაფინანსების ძირითადი პრინციპები, წყაროები და მიღწევები (milestones). საქართველოს ამოცანაა გაზარდოს კლიმატის დაფინანსება კლიმატის ცვლილების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად და კლიმატზე მორგებულ განვითარებას.

კონცეფცია იძლევა მკაფიო დასკვნას, რომელიც გამყარებულია შესაბამისი გამოთვლებით, რომ ემისიების შემცირების სათანადო დონე და საბოლოო მიზანი - კლიმატ-ნეიტრალურობა 2050 წლისთვის შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ დამატებითი ღონისძიებების განხორციელებით თითოეულ სექტორში (ე.წ. WAM

7. კლიმატის ცვლილების კანონის თეთრი წიგნი, პ. 2.2.7 „კლიმატის ფინანსები

სცენარები). კონცეფციის WAM სცენარის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები, დარგობრივი ექსპერტების შეფასებით, შეადგენს დაახლოებით 78 მილიარდ აშშ დოლარს. ეს გარემოება გულისხმობს დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიებას ამ ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

კლიმატის ცვლილების საფინანსო და საინვესტიციო მექანიზმები კლიმატის ფინანსური პოლიტიკის გადამწყვეტი ნაწილია, რადგან ფინანსური რესურსების გამოყენების გარეშე თითქმის შეუძლებელია მნიშვნელოვანი და ტრანსფორმაციული პროექტების განხორციელება. სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საფინანსო და საინვესტიციო მექანიზმების ფორმირებაში. ვინაიდან, სახელმწიფოს ფინანსური სახსრები შეზღუდულია, ხელი უნდა შეუწყოს კერძო ინვესტიციების მოზიდვას კლიმატის ცვლილების აქტივობების მიმართულებით, შექმნას მწვანე კაპიტალის ბაზრის ეფექტური სისტემები და ხელი შეუწყოს მწვანე ფინანსური ნაკადების დინებას დაინტერესებულ მხარეებს შორის, რაც გაუმჯობესებს ქვეყანაში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული აქტივობების ინტენსიურ და ეფექტურ დაფინანსებას.

კლიმატური დაფინანსება შეიძლება იყოს **საჯარო, კერძო, ეროვნული, საერთაშორისო** ან სხვა წყაროებიდან მოძიებული (შერეული, საქველმოქმედო და სხვა), რომელიც მიმართულია ქვეყნის შესაძლებლობების გაძლიერებაზე მოამზადოს ეფექტური საპროექტო განაცხადები და განახორციელოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროექტები, შექმნას ხელსაყრელი გარემო სუფთა, ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად, განავითაროს მონიტორინგის, ანგარიშგების და დამოწმების/ვერიფიკაციის მდგრადი სისტემა. კერძო სექტორის ჩართულობა, საჯარო-კერძო თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლიმატის მდგრადი დაფინანსების სისტემის განვითარებისთვის. თანამონაწილეობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, კვლევების და ინოვაციების ხელშეწყობა, და დაფინანსების სიტემის მოქნილობა წარმოადგენს მდგრადი დაფინანსების სისტემის მნიშვნელოვან მახასიათებლებს.

უკვე არსებობს მთელი რიგი ანგარიშგების ვალდებულებები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საქმიანობების დაფინანსების მიმართულებით, რომლებიც გამომდინარეობს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის და მისი პარიზის შეთანხმების გლობალური პროცესიდან და ეროვნული ვალდებულებებიდან:

- პარიზის შეთანხმების მიხედვით, თითოეულმა განვითარებადმა ქვეყანამ ორწლიან გამჭვირვალობის ანგარიშში უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საჭირო და მიღებული ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.
- საბიუჯეტო განცხადების მომზადების ეტაპზე საქართველოს სამინისტროებმა უნდა დაადგინონ თავიანთი პროგრამებისა და ქვეპროგრამების კავშირი კლიმატის ცვლილებასთან ელექტრონული ბიუჯეტის მიერ მოწოდებული პოლიტიკის კლასიფიკატორის მეშვეობით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროსთან კოორდინაციით (ეს ცნობილია როგორც კლიმატის ბიუჯეტის მარკირება). კლიმატის ცვლილების კანონი მთავრობისგან ითხოვს გააგრძელოს მიმდინარე წლიური კლიმატის ბიუჯეტის მარკირების ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია პოლიტიკის კლასიფიკატორებზე, რათა გაზომოს კლიმატის საჯარო ხარჯები მომავალი ფისკალური წლისთვის. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილების კანონი მოითხოვს, რომ მთავრობამ მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ გააზიაროს ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული საჯარო ხარჯების შესახებ წინა ფისკალური წლის(ებ)ისთვის.

- კლიმატის ცვლილების ეროვნულ საბჭოსთან შეიქმნა კლიმატის ცვლილების ფინანსების/დაფინანსების სამუშაო ჯგუფი. კლიმატის ცვლილების ეროვნული საბჭოსთვის ეს ჯგუფი ამზადებს შეფასებას ეკონომიკურ საქმიანობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებელის ანალიზს და შესაბამის რეკომენდაციებს.

პარიზის შეთანხმება კლიმატის დაფინანსების მიმართულებით შემდეგ პრინციპულ საკითხებს გამოყოფს: განვითარებული ქვეყნების ლიდერი პოზიცია დაფინანსების მობილიზების მხრივ, მზარდი ამბიცია და ფინანსური რესურსების დაბალანსებული გადანაწილება შერბილებისა და ადაპტაციის მიმართულებებით, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება გაცემული და მიღებული დახმარებების შესახებ, კლიმატის დაფინანსების საჯარო, კერძო და ინოვაციური ფინანსირების მექანიზმების შექმნა მთლიანობაში დაეხმარება დაბალემისიიანი განვითარების მიზნების ეფექტურ განხორციელებას.

საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება ხელმისაწვდომია: **i) დაფინანსების კერძო არხებით, ii) ეროვნული და მუნიციაპლური ბიუჯეტებით, შიდა ფონდებითა და წამახალისებელი მექანიზმებით; და iii) კლიმატის ცვლილების საკითხებზე საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობითა და ინვესტიციებით.**

ორმხრივი საერთაშორისო დაფინანსების მექანიზმით ერთი ქვეყნის უწყებიდან რესურსები პირდაპირ მიმღებ ქვეყანას გადაცემა. კლიმატის ცვლილების მიზნებზე ორიენტირებული პირდაპირი, ან არაპირდაპირი ორმხრივი დაფინანსების აღრიცხვასა და მონიტორინგს OECD „რიოს მარკერების“ საშუალებით ახორციელებს. კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების OECD-ის ფინანსური სტატისტიკური მონაცემთა ბაზის თანახმად, საქართველოში კლიმატთან დაკავშირებით სხვადასხვა სექტორში მიმდინარე რამდენიმე პროექტი იღებს დახმარებას განვითარების დახმარების კომიტეტის (DAC) 19 წევრი ქვეყნისგან[8].

8. ორმხრივი დაფინანსების მექანიზმით საქართველომ 2010-2019 წლებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური დახმარების სახით ჯამში 5.17 მილიარდი ლარი მიიღო. NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის საბოლოო ვერსია, ტექნიკური ანგარიში, 2022წ. https://www.undp.org/ka/georgia/publications/eu4climate-ndc-financing

მრავალმხრივი საერთაშრისო ფინანსურ მექანიზმით რესურსების მიწოდება ხორციელდება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომლებიც შექმნილია კონკრეტული მიზნების მისაღწევად და რომელთა მართვა და დაფინანსება მრავალი ქვეყნის თანამშრომლობითა და ფინანსური შენატანებით ხორციელდება.[9] UNFCCC-ის ფარგლებში შექმნილია კლიმატის ცვლილების რამდენიმე საერთაშორისო ფონდი, რომელთა დანიშნულება კლიმატის ცვლილების შერბილების და მასთან ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების დაფინანსებაში მდგომარეობს. UNFCCC-ის კლიმატის ფონდებიდან საქართველოში ოპერირებს **ადაპტაციის ფონდი (AF), კლიმატის მწვანე ფონდი (GCF)** და **გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)**. იმ სხვა მრავალმხრივი ფონდებიდან, რომლებიც არ არის შექმნილი UNFCCC-ის ფარგლებში, მაგრამ კლიმატის ცვლილებასაც აფინანსებს საქართველოში აქტიურია აღმოსავლეთ **ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი (E5P), მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი (EFSD) და მწვანე ზრდის ფონდი (GGF)**.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები[10], რომლებიც დაარსებულია ერთზე მეტი ქვეყნის მიერ გაერთიანებული არიან სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კლიმატის ცვლილების პროცესში ფინანსური შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.

განვითარების მრავალმხრივი ბანკები ბევრ ქვეყანაში მუშაობენ მათ შორის საქართველოშიც, რომლებიც საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე მოძიებულ რესურსებს, შემდეგ სესხის სახით მათ წევრ ქვეყნებს კერძო ფინანსურ ბაზრებთან შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობებით აძლევენ. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და განვითარების ბანკები, რომლებიც აქტიურად აფინანსებენ საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებს შემდეგია: **ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB); ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB); ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD); აზიის განვითარების ბანკი (ADB); შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB); სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი (NIB); სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO); სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD); მსოფლიო ბანკის ჯგუფი**.

მსოფლიო ბანკის ჯგუფი მუშაობს სიღარიბის შემცირებაზე, საერთო კეთილდღეობის გაზრდასა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ხუთი ინსტიტუტის მეშვეობით. ესენია: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD); საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA); საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

9. 2010 - 2019 წლებში კლიმატის მრავალმხრივი ფონდების მიერ საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული 36 პროექტის განსახორციელებლად უზრუნველყოფილი დაფინანსების ჯამურმა მოცულობამ 2.19 მილიარდი ლარი შეადგინა. NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის საბოლოო ვერსია, ტექნიკური ანგარიში, 2022წ.
10. საქართველომ 2010 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან კლიმატთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსების სახით 28.36 მილიარდი ლარი მიიღო. NDC-ის დაფინანსების სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის საბოლოო ვერსია, ტექნიკური ანგარიში, 2022წ.

(IFC); მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (MIGA); საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSID).

საქართველომ უზრუნველყო ქვეყანაში კლიმატთან დაკავშირებული რამდენიმე პროექტის დაფინანსება და თანადაფინანსება ქვეყნის საბიუჯეტო სისტემიდან მოპოვებული შიდა **ეროვნული რესურსებით**. საქართველოში არ არსებობს სპეციალური ფონდი, რომელიც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სახელმწიფო ფონდი ეროვნულ და საერთაშორისო დაფინანსებას მდგრადი განვითარების პროექტებისკენ მიმართავს. ასეთებია: საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი (GEDF); სს საპარტნიორო ფონდი; მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF); საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (GRDF); საქართველოს თანაინვესტირების ფონდი.

საჯარო და კერძო თანამშრომლობა საფინანსო და საინვესტიციო მექანიზმების ფუნდამენტური ელემენტია. ის აყალიბებს და აძლიერებს ნდობას, რაც წარმატების გადამწყვეტი ფაქტორია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეიქმნას **კლიმატის დაფინანსების მდგრადი სისტემა**, რომელიც გულისხმობს ინტეგრირებულ, ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ფინანსების მობილიზებას, რომელიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციას და დაბალემისიიან განვითარებას.

დაბალემისიიანი განვითარების დაფინანსების სისტემის მდგრადობას და ეფექტურობას უზრუნველყოფს შემდეგი პრინციპების დაცვა:

- დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია (საჯარო, კერძო, საერთაშორისო)
- ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და არსებითი თანასწორობის ხელშეწყობა (დაფინანსება სარგებელს მოუტანს საზოგადოების ყველა სეგმენტს, პრიორიტეტიზაცია პროექტების რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ და ეკონომიკურ თანასწორობას)
- დაფინანსების შესაბამისობა ქვეყნის ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებთან
- რისკების შერბილებისა და დაზღვევის ხელშეწყობა
- საჯარო და კერძო თანამშროლობის ხელშეწყობა
- კვლევების და ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა, შესაძლებლობების გაძლიერება, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა
- მოქნილი, ცვალებად გარემოში მარტივად ადაპტირებადი ფინანსური სტრუქტურის შექმნა
- გრძელვადიანი ხედვა კლიმატური დაფინანსების დაგეგმვის პროცესში
- მდგრადი დაფინანსების ინსტრუმენტების დანერგვა, და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.

ამ პრინციპების დაცვით, ქვეყანა შეძლებს შეიმუშაოს დაფინანსების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კლიმატის ცვლილების პოლიტიკის მიზნების ეფექტურ მიღწევას. უფრო კონკრეტულად კი საქართველოში კლიმატის დაფინანსების მდგრადი სისტემის განვითარებისთვის საჭიროა შემდეგი:

- სექტორულ სტრატეგიებში და სამოქმედო გეგმებში შემარბილებელი და საადაპტაციო პოლიტიკების/ღონისძიებების შესაბამისი ბიუჯეტების განსაზღვრა, დაფინანსების წყაროების გამოვლენა, განხორციელება.
- ბიუჯეტის მარკირება. კლიმატზე საჯარო დანახარჯების შესახებ მონაცემების შეგროვება და ანალიზი. მაღალი სიზუსტით განსაზღვრა კლიმატის ცვლილებაზე გაწეული დანახარჯების, რათა ადგილი არ ჰქონდეს გადაჭარბებულ ან შემცირებულ შეფასებებს.
- კლიმატისთვის მავნე აქტივობების და შესაბამისი ინვესტიციების გამოვლენა.
- კლიმატის ცვლილების საფინანსო და საინვესტიციო მექანიზმის ჩამოყალიბება, დაფინანსების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის გამართული ელემენტებით, რომლითაც შემოწმდება კლიმატის პროექტების შესრულების ეფექტურობა.
- ფინანსური სექტორის სუბიექტებს (ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები, ფონდები, სხვა ფინანსური შუამავლები / ინსტიტუტები) შორის მწვანე დაფინანსების შესახებ დიალოგის გრძელვადიანი პლატფორმის შექმნა.
- მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერება მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებით. (მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია, ESG საკითხები).
- კლიმატის/მწვანე დაფინანსების ანალიტიკური მოდელების ჩამოყალიბება და დანერგვა ფინანსურ სუბიექტებთან ერთად.
- სხვადასხვა ტიპის მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება და ამოქმედება, როგორიცაა მწვანე სესხები, ობლიგაციები, ინვესტიციები, ფონდები, იპოთეკა, მიკრო-დაფინანსება, ლიზინგი, მწვანე სერტიფიკატები, ნახშირბადის კრედიტები და ბაზარი, მწვანე დაზღვევა და სხვა.
- საჯარო-კერძო თანამშრომლობის გაძლიერება დაბალი ემისიების და კლიმატისადმი მედეგი განვითარებისთვის.
- სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი საკრედიტო გარანტიების სქემების შემუშავება.
- მწვანე ფინანსური პროდუქტების ადგილობრივი ვერიფიკატორებისა და სერტიფიკატორების (verifiers and certifiers) განვითარება.
- საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავება კლიმატის/მწვანე დაფინანსების მიმართულებით.
- საერთაშორისო კლიმატური ფონდების აკრედიტებული ინსტიტუტების რაოდენობის გაზრდა ქვეყანაში.

საგანმანათლებლო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამებს გადამწყვეტი როლი აქვს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის მიზნების წარმატებით განხორციელებაში, რადგან განათლების ყველა საფეხურზე (სკოლამდელ, სასკოლო, პროფესიულ, უმაღლეს) სწორად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები აძლევს ინდივიდებსა და ინსტიტუტებს მდგრადი პრაქტიკის მხარდასაჭერად საჭირო ცოდნასა და უნარებს.

კლიმატის ცვლილების შესახებ განათლების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია როგორც ფორმალური, ასევე - არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებებით. საჭიროასწავლებისსხვადასხვასაფეხურზესისტემურადგანვითარდესსაგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამები. მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების მიმართულებით შემუშავდეს განათლების სასწავლო გეგმა სასკოლო დონეზე, ხელი შეეწყოს კლასგარეშე აქტივობებს, გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები, შემუშავდეს უმაღლესი და პროფესიული განათლების პროგრამები, გაიზარდოს კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების რიცხვი, გაუმჯობესდეს სტაჟირებისა და პრაქტიკის შესაძლებლობები, შეიქმნას უწყვეტი განათლების სემინარები, ონლაინ კურსები პროფესიონალების, პოლიტიკის შემქმნელებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.

ფორმალური განათლების კუთხით, აღსანიშნავია უნივერსიტეტების როლი კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა თუ კვლევის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატთან დაკავშირებული საკითხები ნაწილობრივ ინტეგრირებულია გარემოსდაცვით სფეროსთან დაკავშირებულ პროგრამებში ჰიდროლოგიის, გეოლოგიის, ეკოლოგიის თუ სხვა მიმართულებებზე, საჭიროა მისი ფართო ინტეგრირება ისეთი მიმართულებებით როგორიცაა ენერგეტიკა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და ა.შ.

კვლევების ხელშეწყობის მიმართულებით აღსანიშნავია **რუსთაველის კვლევითი ფონდი**, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებული იურიდიული პირია. ის ხელს უწყობს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას.

არაფორმალური განათლების კუთხით, აღსანიშნავია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ძალისხმევა, ისევე როგორც, უნივერსიტეტების, დონორების არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ კვლევითი ჯგუფების მიერ უზრუნველყოფილი არაერთი სასერტიფიკატო ტრენინგი, კონკურსი, საჯარო ლექცია, სემინარი თუ კონფერენცია კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული აქტივობები არასისტემურად ხორციელდება და ასეთი კურსები და პროგრამები არამდგრადია.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ მომზადდა ეროვნული სტრატეგია „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, თუმცა ეს დოკუმენტები ჯერ დამტკიცებული არ არის.

ამასთან, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030**[11] **და პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020**[12] კლიმატის ცვლილების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებაზე არ აკეთებს აქცენტს.

კლიმატის ცვლილების მიმართულებით, როგორც შერბილების, ისე - ადაპტაციის მიზნების ეფექტური განხორციელებისთვის, საჭიროა შემუშავდეს გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამები განათლების სხვადასხვა საფეხურზე და ამისთვის გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან **ეროვნულ სტრატეგიაში**, ასევე **პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში** აისახოს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დანერგვის საჭიროება, მიზნები და კონკრეტული ღონისძიებები. განათლების სხვადასხვა საფეხურზე კლიმატის ცვლილების მიმართულებით დაინერგოს სასწავლო პროგრამები. ასევე შესაძლებელია ამ პროცესში ცენტრის მიერ შემუშავებული „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ დოკუმენტის ძირითადი მიგნებების და მიზნების გათვალისწინებაც.
- კლიმატის ცვლილების საკითხების კომპლექსურობის გათვალისწინებით, საჭიროა სექტორულ სტრატეგიებში მოხდეს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების/გადამზადების პროგრამების ინტეგრირება და კონკრეტული მიზნების განსაზღვრა საჭიროუნარების და ცოდნის განვითარების შესაბამისად, რომლებიც სამართლიანი გადასვლის პროცესში გამოვლინდება და გაანალიზდება. აღნიშნული სექტორული საგანმანათლებლო პროგრამები თანხვედრაში უნდა იყოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიასთან და პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიასთან. მნიშვნელოვანია რომ პროფესიული განათლების პროგრამების მომზადების პროცესში მაქსიმალურად იყოს კერძო სექტორი ჩართული, მათთან კოორდინირებით მოხდეს კადრების მომზადება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შემდგომი დასაქმება.
- განვითარდეს არსებული და შეიქმნას ახალი კვლევითი ცენტრები და ინსტიტუტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება კლიმატის ცვლილების, შერბილებისა და ადაპტაციის, მწვანე გადასვლისა და მდგრადი განვითარების საკითხების კვლევებზე.

11. https://mes.gov.ge/content.php?id=7755&lang=geo
12. https://www.gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf

სამართლიანი გადასვლა

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ღონისძიებებს მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტები ახლავს, რის გამოც განსაკუთრებული ყურადღებას მოითხოვს სამართლიანობის პრინციპის დაცვა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების თანმხლები საფასურისა და სარგებლის თანასწორად გადანაწილება.

საქართველოს კლიმატის ცვლილების კანონის სამუშაო ვერსიის მიხედვით, „სამართლიანი გადასვლის პრინციპი გულისხმობს კლიმატის ცვლილების საპასუხო მოქმედებების, მათ შორის დეკარბონიზაციის [დაბალემისიიან განვითარებაზე გადასვლის] შედეგად პირდაპირ ან ირიბად დაზარალებული და სპეციფიკური საჭიროების მქონე ადამიანებისა და ჯგუფების ჩართვას და მათი ინტერესების დაცვას კლიმატის ცვლილების საპასუხო მოქმედებების დაგეგმვისას და განხორციელებისას. სამართლიანი გადასვლა ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შესაძლო უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების მინიმუმამდე დაყვანას, საპასუხო მოქმედებების შედეგად დაზარალებული ადამიანებისა და ჯგუფების ინტერესების დასაცავად შესაბამისი ქმედებების განხორციელებას, მათ შორის ღირსეული [და ხარისხიანი] სამუშაო ადგილების შექმნას და დაბალემისიიანი განვითარების შედეგად წარმოქმნილ ახალ შესაძლებლობებზე სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას“.

სამართლიანი გადასვლის უზრუნველყოფისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ჩამოყალიბებულ სისტემებსა და მექანიზმებს, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მიიღწეს ეკონომიკის სექტორების ტრანსფორმაცია. ამ კუთხით, ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

სოციალური პოლიტიკა: დასაქმება, შრომითი უფლებები, სოციალური დაცვა - საქართველოში უმუშევრობის დონე 17%-ია (საქსტატი, 2022) ხოლო არაფორმალურად დასაქმებულების წილი[13] 35%-ს შეადგენს[14]. სამართლიანი გადასვლის კონტექსტში მნიშვნელოვანია ღირსეული შრომითი პირობების უზრუნველყოფა, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, არაფორმალური დასაქმების მაჩვენებლის შემცირებასა და მის ფორმალიზებას გულისხმობს. ამ პროცესში კერძო სექტორის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

---

13. არაფორმალური დასაქმება – არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულები, რომლებიც თავიანთ სამუშაოზე არ იყვნენ ან ნაწილობრივ იყვნენ დაცული ფორმალური შეთანხმებებით (არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს ხელფასიდან; დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებით; დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი საავადმყოფო ფურცლით ავადმყოფობის შემთხვევაში; ან/და დამსაქმებელი არ იხდიდა საპენსიო ფონდში შენატანს) ან განსაზღვრავენ საკუთარი დასაქმების სტატუსს, როგორც ოჯახის საწარმოში/მეურნეობაში დამხმარე, ან მუშაობდნენ საწარმოებში, რომლებიც არ არის რეგისტრირებული. (საქსტატი)
14. არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში, 2017-2019, საქსტატი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალური დაცვის ღონისძიებებისკენ არის მიმართული (22.87%, 2022 წელს)[15]. მოსახლეობის 40% სოციალური დაცვის მინიმუმ ერთი შეღავათით მაინც სარგებლობს[16], თუმცა, 20% მაინც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (ფარდობითი სიღარიბე)[17]. უმუშევრობისგან დაცვა სამართლიანი გადასვლის მთავარი ინსტრუმენტია, საქართველოში არ არსებობს უმუშევრობის კომპენსაცია. ასევე, არ არის დადგენილი ადეკვატური მინიმალური ხელფასის ზღვარი.

პროფესიული განათლების პოლიტიკა: დასაქმებულების კვალიფიკაცია, მომზადება-გადამზადება, მთელი სიცოცხლის მანძილზე პროფესიული სრულყოფა - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, საქართველოში უნარების შესატყვისობის მაჩვენებელი 66%-ია[18]. უნარების შეუსაბამობის მიზეზებად ძირთადად პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაბალი ხარისხი და შესაბამისობა და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა ჭარბი რაოდენობა სახელდება.[19] უმაღლეს განათლებაზე ჩარიცხვის მაჩვენებელი 60%-ს აჭარბებს, მაშინ როცა დამწყებ პოზიციებზე ვაკანსიების 40% მოითხოვს უმაღლეს განათლებას. დასაქმებულთა მხოლოდ 13% მუშაობს საკუთარი პროფესიით. პროფესიულ პროგრამებზე ახალგაზრდების 6% და მოსწავლეების მხოლოდ 3% სწავლობს, შედარებისთვის, ევროკავშირში ეს მაჩვენებელი მოსწავლეების 48%-ია.[20]

სამართლიანი გადასვლის კუთხით მუშახელის მომზადება-გადამზადების პროგრამების არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, დეკარბონიზაცია და ნულოვანი ემისიების მიღწევა ქმნის უფრო მეტ მოთხოვნას საშუალო კვალიფიკაციისა და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელზე **ტექნიკური გამოცდილებით**. ძირითადი პროფესიული კადრების ნაკლებობაა **სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნობის და მონათესავე სფეროების მუშების კუთხით**, რომლებიც საჭიროებენ საშუალო განათლებას და პროფესიულ განათლებას ან სამუშაო ადგილზე სწავლებას[21].

---

15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/770/naerti-biujeti
16. International Labour Organisation (2020). Assessment of the Social Protection System in Georgia, . Available at: https://www.developmentpathways.co.uk/wp-content/uploads/2021/02/ILO-Georgia.pdf
17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done
18. International Labour Organization (2019). Skills and jobs mismatch in low- and middle-income countries, Available at https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/documents/publication/wcms_726816.pdf
19. World Bank (2023). Georgia, Keeping the Reform Momentum. A Systematic Country Diagnostic Update, Available at: https://openknowledge.worldbank.org/entities/publication/3230fca2-eb9b-4877-ac65-ba249ff8b8a5
20. Galt & Tagart (2020). Georgia's Education Sector, Available at: https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2021-05/25610.pdf
21. NDC partnership (2023). Socio-economic impacts of Georgia's decarbonization pathway

სოციალური დიალოგი - რაც დასაქმებულს, დამსაქმებელსა და მთავრობას ან დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ფორმალიზებულ ურთიერთობას გულისხმობს, სამართლიანი გადასვლის აუცილებელი ნაწილია. საქართველოში სოციალური დიალოგი არათანმიმდევრულია. შრომის კოდექსში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ვერ ხერხდება სოციალური დიალოგის ეტაპობრივ გაძლიერება ეროვნულ, დარგობრივ, რეგიონულ და ინდუსტრიულ დონეზე[22].

გარემოსდაცვითი სამართალი და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სამართლიანი გადასვლის უზრუნველყოფის და შესაძლო სოციალური ეფექტების განსაზღვრის მნიშვნელოვანი ნაწილია. ცალკეული შეფასებები მიუთითებს, რომ გარემოსდაცვითი სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში კარგადაა ჩამოყალიბებული. თუმცა, განხორციელება სუსტი და ფრაგმენტულია, ამის ძირითად მიზეზად შეზღუდული ადმინისტრაციული შესაძლებლობები სახელდება.[23]

მოწყვლადი სექტორები და ჯგუფები

დაბალემისიიანი განვითარება ჯანსაღი გარემოს შექმნასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ითვალისწინებს, რასაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობამდე მივყავართ, თუმცა, მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში შესაძლო მოწყვლადობის სათანადოდ გათვალისწინება. დაბალემისიიანი განვითარების პროცესში სექტორების მიხედვით სხვადასხვა ტიპის მოწყვლადობა იკვეთება:

ენერგეტიკის სექტორში სავარაუდო მოწყვლადობა უკავშირდება **ქვანახშირის** მოპოვებასა და აღნიშულ სექტორში დასაქმებულ ადამიანებს. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სახელწიფოს ხედვა ქვანახშირის სექტორის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხედვა უნდა ეყრდნობოდეს საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების იდეას თუმცა, ამავდროულად, ითვალისწინებდეს სექტორში დასაქმებული ადამიანებისათვის ღირსეული შრომით პირობების შექმნას.

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების საკვანძო ნაწილია **ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარება**, რაც ძირითადად ჰიდროენერგიის, მზის და ქარის ენერგიების პოტენციალის ათვისებას ითვალისწინებს. ამ პროცესში საყურადღებოა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და მშენებლობის ეტაპზე ადგილობრივი თემებისა და მოსახლეობის ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება. ასევე, მნიშვნელოვანია, მაღალანაზღაურებადი, სტაბილური, ინკლუზიური სამუშაო ადგილების შექმნა და შრომითი უსაფრთხოება.

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა **ტრანსპორტის სექტორი** და შესაბამისი

22. ბელთაძე, პ. სოციალური დიალოგი საქართველოში (2020). ხელმისაწვდომია ბმულზე https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16267.pdf
23. Vardosanidze, k., Kiss, C., (2023). Access To Environmental Justice In Georgia Baseline Assessment https://www.undp.org/ka/georgia/publications/environmental-justice

ღონისძიებები. ტრანსპორტის სექტორის რეფორმის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს საჯარო ტრანსპორტის ფინანსურ და ტექნიკურ ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით რეგიონებსა და სოფლებში. ასევე მნიშვნელოვანია საგზაო უსაფრთოხებასა და შრომით უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. სათბურის აირების ემისიების შემცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ტრანსპორტის სექტორში არ უნდა წარმოადგენდეს დამატებით ფინანსურ ტვირთს მოსახლეობისათვის. მოძველებული ავტოპარკის ჩანაცვლების პოლიტიკა არ უნდა გახდეს საქალაქთაშორისო თუ შიდასაქალაქო მობილობის ხელშემშლელი ფაქტორი. საჭიროების შემთხვევაში, ყურადღება უნდა დაეთმოს ტრანსპორტის სექტორში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას, სამუშაო ადგილები უნდა იყოს ინკლუზიური და ხარისხიანი.

დაბალემისიიანი განვითარების კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც სამართლიანი გადასვლის კუთხით მნიშვნელოვანი ეფექტები ახლავს **შენობების სექტორი** და შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებებია. საქართველოში შენობების დაბალი ენერგოეფექტურობა ენერგეტიკული სიღარიბის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია[24]. სამართლიანი გადასვლის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ შენობების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები ხელმისაწვდომი იყოს ენერგეტიკულ სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობისათვის. ამ მიზნით სპეციალური ფონდებისა და დაფინანსების ინსტრუმენტების ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შენობების განახლებისა და ენერგოეფექტურობის ზრდის ღონისძიებები ასევე ახალი სამუშაო ადგილებისა და პროფესიების გაჩენას ითვალისწინებს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ტექნიკური პერსონალის, ხელოსნების, აუდიტორების მომზადება-გადამზადება, რომ შეძლონ ახალი სტანდარტების შესაბამისი სამუშაოების წარმოება და მოხდეს დღეს ამ სექტორში არსებული არაფორმალური დასაქმების ფორმალიზება. ეს ხელს შეუწყობს სექტორში დასაქმებული კადრების შრომით პირობებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

ენერგოეფექტური წარმოების პროცესის დანერგვა და შესაბამისი კადრების გადამზადება არის **ინდუსტრიის სექტორის** სამართლიანი გადასვლის საკვანძო საკითხიც. გარდა პერსონალის მომზადება-გადამზადებისა, ინდუსტრიის სექტორის სამართლიანი გადასვლისთვის მნიშვნელოვანია დასაქმებულების ღირსეული ანაზღაურება და უსაფრთხო შრომით პირობები. ასევე, დაბალემისიიანი ინდუსტრიული განვითარება უნდა ითვალისწინებდეს სოციალურ და ეკოლოგიურ პრიორიტეტებთან შესაბამისობას[25].

---

24. კვარაცხელია თ., დიბუა უ., (2024). „ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში“ http://weg.ge/sites/default/files/final_geo_understanding_energy_poverty_in_georgia.pdf
25. ცინცაძე, გ. (2022). საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის სამუშაო ვერსიის შეფასება სამართლიანი ტრანზიციის გადმოსახედიდან

დაბალემისიიანი განვითარების და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის კუთხით კონცეფცია ითვალისწინებს **ნარჩენების მართვის** მდგრადი პრაქტიკების დანერგვას. აღნიშნულ სექტორში მოსალოდნელია ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოებში. ასევე, სამართლიანი გადასვლის გადმოსახედიდან საყურადღებოა სექტორში არაფორმალური დასაქმების ფორმალიზება (ნარჩენების შემგროვებლები და გადამამუშავებლები).

სამართლიანი გადასვლის ძირითადი პრინციპები გათვალისწინებული უნდა იყოს **სოფლის მეურნეობის** სექტორში დაბალემისიიანი განვითარების ღონისძიებებშიც და **LULUCF მიმართულებაშიც**. სოფლის მეურნეობაში არაფორმალური დასაქმების ფორმალიზება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში კადრების გადამზადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასევე, ქვეყანაში უკვე დაწყებულია სატყეო სექტორის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ტყის მართვის მდგრადი პრაქტიკების დანერგვას. შრომითი პირობებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც რეფორმას ახლავს თან, მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია სამართლიანი გადასვლის კუთხით, თუმცა, ამავდროულად, რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს სექტორში არაფორმალური დასაქმების ფორმალიზებას და შესაბამისი კვალიფიციური პერსონალის მომზადება-გადამზადებას.

ამდენად, სამართლიანი გადასვლის კუთხით, საქართველოს დაბალემისიიანი განვითარება უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- სოციალურად სამართლიანი ღონისძიებები არ წარმოადგენს დამატებით **ფინანსურ ტვირთს** მოსახლეობისთვის, არამედ ეხმარება ფინანსების დაზოგვასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.
- სოციალურად სამართლიანი ღონისძიებები დადებით გავლენას ახდენს **სამუშაო ადგილებსა და შრომით პირობებზე**, ამავდროულად, აჩენს ახალ შესაძლებლობებს მოწყვლად სექტორებში დასაქმებულებისათვის.
- სოციალურად სამართლიანი ღონისძიებები უზრუნველყოფს მოსახლეობისა და ადგილობრივი თემების **ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში** თანამონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით.
- სოციალურად სამართლიანი ღონისძიებები კლიმატნეიტრალურობის მიზნის მისაღწევად საჭირო **ინვესტიციების განხორციელებისას** ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და სადაც შესაძლებელია, პრიორიტეტულად მიმართულია აღნიშნული ჯგუფების დახმარებისკენ.

აღნიშნული პრინციპების დაცვასთან ერთად მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- კლიმატის ცვლილების კანონის მიღებით შეიქმნას **სამართლიანი გადასვლის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო**.
- **დარგობრივ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში გამოიყოს და გაანალიზდეს**

სამართლიანი გადასვლის საკითხები და ეფექტები, რაც ცალკეულ პოლიტიკის ღონისძიებებს შეიძლება ჰქონდეთ პროცესის მოწყვლად მხარეებზე. აღნიშნული სტრატეგიები უნდა მოიცავდეს ამ მხარეებზე შესაძლო ნეგატიური ეფექტების შემცირების ხედვას და ინსტრუმენტებს.

- შეიქმნას **სამართლიანი გადასვლის ფონდი**, რომელიც შეიძლება იყოს ან დამოუკიდებელი ან ინტეგრირებული სხვა ეროვნულ ფონდებში.
- დასრულდეს საქართველოს **საკანონმდებლო ბაზის დაახლოება ევროკავშირთან** ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების მიმართულებით, დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით და სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულებით. დასრულდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რატიფიცირების პროცესი.
- საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების საფუძველზე შეიქმნას მისი აღსრულების სათანადო მექანიზმები და **ჩამოყალიბდეს საჭირო პოლიტიკის ინსტრუმენტები**. მათ შორის სოციალური დიალოგის გაუმჯობესებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების მიმართულებით.
- შეიქმნას **პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები**. უმაღლესი განათლების, პროფესიული განათლების და მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში გაიზარდოს **მწვანე სამუშაო ადგილებისთვის საჭირო პროგრამების** წილი. მეტი ყურადღება დაეთმოს ბიზნესებთან თანამშრომლობას და სამუშაო ადგილზე სწავლების პრაქტიკის გაძლიერებას.

გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა

კლიმატის ცვლილების შედეგები განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს ქალებზე, კაცებზე, გოგოებზე, ბიჭებზე, მრავალფეროვანი გენდერული იდენტობისა და გენდერული თვითგამოხატვის, სხვადასხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე (მათ შორის შშმ პირები; ბავშვები და ხანდაზმულები; ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობები; დევნილები, სოციალურად დაუცველები, ლტოლვილები, მიგრანტები და სხვა) ადამიანებზე, ჯგუფებსა და თემებზე. განსაკუთრებით ქალები და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფები და თემები, ხშირად განიცდიან კლიმატთან დაკავშირებულ სირთულეებს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის გამო. გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა (GESI) საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის ეფექტიანი განხორციელების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

კონცეფციის განხორციელებისას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა იწყება

იმ განსხვავების აღიარებით, რომელსაც კაცები და ქალები განიცდიან და რეაგირებენ კლიმატის ცვლილებაზე. ქალები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, არაპროპორციულად განიცდიან კლიმატის ცვლილებას მათი, როგორც მზრუნველის როლისა და საარსებო წყაროდ ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულების გამო. კლიმატის ცვლილება ამძაფრებს არსებულ გენდერულ უთანასწორობას ქალებისა და სხვადასხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ადამიანების სერვისებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის, ადაპტაციისა და შერბილების შესაძლებლობების შეზღუდვითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი დაბალი წარმომადგენლობისა ან სრულად გამორიცხვიდან გამომდინარე.

ამასთან, ქალებს აქვთ უნიკალური ცოდნა და უნარები, რომლებიც გადამწყვეტია კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობისთვის. მათი წვლილი შინამეურნეობებისა და თემების ადაპტაციის სტრატეგიებში, რესურსების მდგრადი მართვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაში ფასდაუდებელია. ქალთა გაძლიერება და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა კლიმატის ცვლილებების საწინააღმდეგო ქმედებებში პოლიტიკას უფრო ინკლუზიურს, ეფექტიანსა და სამართლიანს ხდის. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ქალების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ სისტემური ბარიერების მოხსნასაც, რაც ზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას, მონაწილეობასა და ლიდერობას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სექტორებში.

სოციალური ჩართულობა სცილდება მოიცავს სპეციფიკური საჭიროების მქონე და დაუცველ ყველა ჯგუფს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის, ბავშვების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების, მრავალფეროვანი გენდერული იდენტობისა და გენდერული თვითგამოხატვის მქონე ადამიანების და სხვა. კონცეფციის განხორციელებისას, ინკლუზიურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ინტეგრირებული უნდა იქნეს ამ ჯგუფების სპეციფიკური ცოდნა, გამოცდილება, საჭიროებები და პრიორიტეტები.

გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ინტეგრირება კონცეფციის განხორციელებისას მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რაც გულისხმობს გენდერული და სოციალური ანალიზის ჩატარებას სხვადასხვა ჯგუფის კონკრეტული მოწყვლადობის, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და პრიორიტეტების დასადგენად. ვინაიდან, გლობალური საზოგადოება აგრძელებს კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან ბრძოლას, მდგრადი მომავლისკენ მიმავალი გზა მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას, საზოგადოების ყველა წევრის პოტენციალის გამოყენებით, ხელს უწყობს უფრო ფართო განვითარების მიზნებს, მათ შორის სიღარიბის შემცირებას, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებასა და მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის განხორციელება გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის უზრუნველყოფით ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

1. გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური პოლიტიკა - კლიმატის ცვლილების პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული ინიციატივები უნდა იყოს გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური, მორგებული საზოგადოების ყველა წევრის მრავალფეროვან საჭიროებებზე. პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს გენდერული უთანასწორობის შემცირება და არსებითი თანასწორობის ხელშეწყობა და აუცველობის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის გზით.
2. ინტერსექციურობა - აღიარებს სოციალური მახასიათებლების კომპლექსურ და ურთიერთდაკავშირებულ ბუნებას, როგორიცაა რასა, კლასი, რელიგია, სქესი, ქორწინებაში ყოფნა, სექსუალური ორიენტაცია, ეთნიკურობა, სპეციფიკური საჭიროება და სხვა, რის მიხედვითაც ადამიანები ძალაუფლებისა და პრივილეგიის, დისკრიმინაციისა და გარიყვის სხვადასხვა პოზიციებზე ხვდებიან. ინტერსექციური მიდგომა აღიარებს, რომ გენდერი არ არის ცალკე მდგომი, კვეთს სხვა სოციალურ განმსაზღვრელ ფაქტორებს კლიმატის ცვლილების ინდივიდუალური გამოცდილების ჩამოყალიბების მიზნით.
3. მნიშვნელოვანი მონაწილეობა და წარმომადგენლობა - ქალებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების თანაბარი მონაწილეობა და წარმომადგენლობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ფუნდამენტურია. ეს გულისხმობს მონაწილეობისთვის ინკლუზიური პლატფორმების შექმნას, მონაწილეობის ბარიერების მოხსნას და წარმომადგენელთა ლიდერობის აქტიურ ხელშეწყობას ყველა დონეზე.
4. შესაძლებლობების განვითარება და გაძლიერება - მოიცავს ქალებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფებისა და თემების შესაძლებლობების განვითარებას კლიმატის ცვლილების შერბილებასთან და ადაპტაციასთან დაკავშირებული უნარებისა და ცოდნის გასავითარებლად.
5. სერვისებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობა - მოიცავს ფინანსური მექანიზმების შემუშავებას ქალების, სხვადასხვა სპეციფიური საჭიროებების მქონე ჯგუფების პრიორიტეტებისა და ინიციატივების მხარდასაჭერად, რაც გულისხმობს გენდერულ ბიუჯეტირებასა და პროექტების დაფინანსების პრიორიტეტიზაციას, რომლებიც აკმაყოფილებენ გენდერულ სპეციფიკურ საჭიროებებსა და მხარს უჭერენ დაუცველი მოსახლეობის მდგრად საარსებო წყაროს.
6. მონაცემთა შეგროვება და მონიტორინგი - სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების არაპროპორციული ზეგავლენის დასადგენად და კონცეფციის განხორციელების პროგრესის მონიტორინგისთვის. სეგრეგირებული მონაცემები ემსახურება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და ანგარიშვალდებულების საფუძველს.

7. მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა - კონცეფციამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, განსაკუთრებით ქალებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფებისთვის, სამართლიანი გადასვლის პროცესებში. ეს მოიცავს ინვესტირებას მწვანე სამუშაო ადგილებზე, მდგრად სოფლის მეურნეობაში და განახლებადი ენერგეტიკის სექტორებში ისე, რომ პრიორიტეტული იყოს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის უზრუნველყოფა.
8. მედეგობა და ადაპტაცია - ქალებსა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფებს შორის მედეგობისა და ადაპტაციის შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია კონცეფციის განხორციელებისას. მედეგობის გაძლიერება მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ ზომებს, არამედ სოციალური ქსელებისა და მხარდაჭერის სისტემების გაძლიერებას, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მოსახლეობას კრიზისის დროს.
9. თანამშრომლობა და პარტნიორობა - კონცეფციაში გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ინტეგრირებისთვის სექტორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა და პარტნიორობა აუცილებელია. ეს პრინციპი ხაზს უსვამს ადგილობრივ თემებთან, სამთავრობო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობის მნიშვნელობას კლიმატის ცვლილებების ყოვლისმომცველი და ეფექტიანი ქმედებების განხორციელების კუთხით.

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციაში გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის მიღწევის ეტაპები

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიან კონცეფციაში გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის მიღწევების, დროში განსაზღვრული ეტაპების, დეტალური აღწერილობის შექმნა მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას.

ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, ისევე როგორც კლიმატის ცვლილების უშუალო ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებთან თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია კონცეფციის მიღწევების პრაქტიკაში ინტეგრირებისთვის. მიღწევები მოიცავს პოლიტიკის შემუშავებას, შესაძლებლობების განვითარებასა და კონკრეტულ ქმედებებს:

პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავება (2024 - 2027 წლები): მოიცავს პოლიტიკისა და საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებას, მიღებასა და განხორციელებას, რომელიც მხარს უჭერს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ინტეგრირებას კლიმატნეიტრალურობის მიზნის მისაღწევად საჭირო გრძელვადიან და შუალედურ მიზნებსა და ქმედებებში.

ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება (2024 - 2028 წლები): ინსტიტუციურ დონეზე გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური მიდგომების ინტეგრირების

მიზნით კონცეფციის განხორციელებაში ჩართული პასუხისმგებელი ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება. ეს მოიცავს ტრენინგებს, სემინარებს და სპეციალიზებული ჯგუფების ან ერთეულების შექმნას სახელმწიფო უწყებებში.

მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი (2024-2027): მეთოდოლოგიების დანერგვა სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზისთვის კლიმატის ცვლილების ზეგავლენის, მათ შორის, შერბილებასთან, ადაპტაციასთან და ექსტრემალურ ამინდთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებისას.

გენდერული ბიუჯეტირება (2024 - 2028 წლები): გენდერული ბიუჯეტირების დანერგვა კონცეფციის განხორციელების დაფინანსების მექანიზმებში უზრუნველყოფს ინვესტიციების გათვალისწინებას, ქალების, კაცებისა და სხვადასხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფებისთვის, რესურსების უფრო ეფექტიანად განაწილებასა და ხელმისაწვდომობას.

კერძო სექტორის ჩართულობა (2024 - 2030 წლები): კერძო სექტორის კომპანიების წახალისება, დანერგონ გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური მიდგომები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებსა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების ფარგლებში. ეს მოიცავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას დასაქმებაში მწვანე ეკონომიკაში, ქალების საკუთრებაში არსებული ბიზნესების მხარდაჭერას გარემოსდაცვით სექტორში და ინვესტირებას ტექნოლოგიებში, რომლებიც სარგებელს მოუტანს ქალებსა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფებს.

შესაძლებლობების გაძლიერება და განათლება (2024 - 2027 წლები): საგანმანათლებლო, მათ შორის პროფესიული პროგრამების გაძლიერება, რომლებიც ფოკუსირებულია კლიმატის ცვლილებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ შესაძლებლობების განვითარებაზე. პროგრამები უნდა ეყრდნობოდეს გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიურ მიდგომებს, ითვალისწინებდეს სხვადასხვა სპეციფიკურ საჭიროებებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ქმედებებში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობასა და ლიდერობას გარემოსდაცვით ინიციატივებში.

საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის კამპანიები (2024 - 2027 წლები): საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის მნიშვნელობას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. კამპანიების ჩატარება უზრუნველყოფს საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას და უფრო ინკლუზიურ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კონცეფციის განხორციელებისას.

კომუნიკაციის გეგმა

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა კომუნიკაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ძირითად სამიზნე აუდიტორიებს, მთავარ საკომუნიკაციო გზავნილებსა და ამ გზავნილების გასავრცელებლად გამოსაყენებელ არხებსა და მეთოდებს.

კომუნიკაციის გეგმის მიზანია, კონცეფციის განხორციელების პროცესში, მოიპოვოს ყველა დაინტერესებული მხარისა და ფართო საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა.

ამ მიზნის შესაბამისად, გამოიყო 6 მთავარი სამიზნე ჯგუფი:

- საჯარო სექტორი
- კერძო სექტორი
- არასამთავრობო სექტორი, აკადემიური წრეები, კვლევითი ორგანიზაციები
- საერთაშორისო პარტნიორები და დონორები
- მედია
- საზოგადოება

თითოეული ჯგუფისთვის განისაზღვრა კონკრეტული გზავნილი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ამ აუდიტორიებთან კომუნიკაციაში.

ცხრილი 2 - სამიზნე აუდიტორია და გზავნილები

სამიზნე აუდიტორია	გზავნილი
საჯარო სექტორი	კონცეფციის მიზნების მისაღწევად კრიტიკულად მნიშვნელოვანია საჯარო უწყებების კოორდინირებული მუშაობა და დოკუმენტის ხედვისა და მიზნების ინტეგრირება დარგობრივ პოლიტიკებსა და სტრატეგიებში.
კერძო სექტორი	მდგრად ბიზნეს მოდელებზე გადასვლას ახლავს უამრავი ეკონომიკური შესაძლებლობა და ინოვაციის პოტენციალი, რომელიც ბიზნესებმა საკუთარი საქმიანობისა გაფართოებისა და ზრდისთვის შეიძლება გამოიყენონ.
არასამთავრობო სექტორი, აკადემიური წრეები, კვლევითი ორგანიზაციები	კონცეფციის მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია ამ სექტორებში არსებული ექსპერტიზა, თანამშრომლობა და მონაწილეობა პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავებაში.
საერთაშორისო პარტნიორები და დონორები	კონცეფცია კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის გლობალური ძალისხმევის ნაწილია, ამიტომ მის აღსასრულებლად საქართველო საჭიროებს საერთაშორისო მხარდაჭერასა და ფინანსურ დახმარებას
მედია	კონცეფცია არის კლიმატის ცვლილების შესახებ ქვეყნის გრძელვადიანი ხედვის არსებული მთავარი დოკუმენტი, შესაბამისად მნიშვნელოვანია, მედიამ თვალი ადევნოს მის განხორციელებას და უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება
ფართო საზოგადოება	კონცეფციის აღსრულება თითოეული ჩვენთაგანისთვის უზრუნველყოფს სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღებას; მდგრადი მომავლისთვის, კონცეფციის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი მონაწილეობა ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა.

საკომუნიკაციო მიზნის მისაღწევად და შერჩეულ აუდიტორიებამდე შესაბამისი გზავნილების მისატანად, გამოყენებული იქნება სამი ძირითადი საკომუნიკაციო არხი: მედიახილვადობა, ციფრული კომუნიკაცია და პირისპირ კომუნიკაცია. კომუნიკაციის გეგმის დეტალები - მათ შორის ის, თუ რა კონკრეტული აქტივობები განხორციელდება თითოეულ საკომუნიკაციო არხში - იხილეთ 1-დანართში.

მონიტორინგი და შეფასება

დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიან კონცეფციაში მოცემულია სცენარები და ღონისძიებები სექტორების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს კლიმატნეიტრალურობის მიღწევას 2050 წლისთვის. ამასთან, განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტი, კლიმატის ცვლილების ეროვნულ სტრატეგიასთან და სხვა დაკავშირებულ სექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან ერთად, პერიოდულად კიდევ უფრო დააზუსტებს კლიმატნეიტრალურობის და ადაპტაციის მიზნების მიღწევის სამიზნე მაჩვენებლებს, შესაბამის ღონისძიებებს, პოლიტიკებს და პროგრესის შესაფასებლად საჭირო შესაბამის ინდიკატორებს.

კონცეფციის განხორციელების ზედამხედველობასა და კოორდინაციას **კლიმატის ცვლილების (სამთავრობო) საბჭო** უზრუნველყოფს, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი სათათბირო ორგანოა და პასუხისმგებელია კლიმატის პოლიტიკის, პარიზის შეთანხმებისა და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების კოორდინირებაზე. კლიმატის ცვლილების საბჭო ასევე განიხილავს შესაბამის ფონდებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში წარსადგენ კლიმატთან დაკავშირებულ პროექტებს და გასცემს რეკომენდაციებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, აღნიშნული პროექტების მხარდასაჭერად.

კონცეფციის მიზნების და ამოცანების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება შემდეგი ინსტრუმენტებით, როგორიცაა:

ცხრილი 3 - მონიტორინგის განხორციელების ინსტრუმენტები, სიხშირე და პასუხისმგებელი ინსტიტუციები

N	მონიტორინგის ინსტრუმენტი	პასუხისმგებელი ინსტიტუცია	სიხშირე
1	ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიში (BTR)	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ყოველ 2 წელიწადში
2	ადაპტაციის ეროვნული გეგმის პროგრესის ანგარიში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ყოველ 2 წელიწადში
3	გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მიმართ წარსადგენი ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ყოველ 4 წელიწადში
4	სათბურის აირების ინვენტარიზაციის ეროვნული ანგარიში, შესაძლოა შემუ-შავდეს დამოუკიდებლად და ასევე იყოს BTR-ის და ეროვნული შეტყობი-ნების ნაწილიც	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ყოველ 2 წელიწადში
5	კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ყოველ 2 წელიწადში
6	დარგობრივი სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები	პასუხისმგებელი დარგობრივი სამინისტროები	განსხვავებული სიხშირით
7	ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროგრეს ანგარიში	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ყოველ 2 წელიწადში
8	მუნიციპალიტეტების მდგრადი ენერგე-ტიკისა და კლიმატის სტრატეგიების პროგრესის ანგარიშები	მუნიციპალიტეტები	ყოველ 2 წელიწადში

მნიშვნელოვანია ამ მონიტორინგის ინსტრუმენტების სინქრონიზაცია და კოორდინირებული მუშაობა შესაბამის უწყებებს შორის, რაც უზრუნველყოფს კონცეფციის მიზნების ეფექტურ განხორციელებას.

კლიმატის ცვლილების ახალი **მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო**, რომელიც კლიმატის ცვლილების კანონის საფუძველზე შეიქმნება, მონიტორინგს გაუწევს პროგრესს კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განხორციელებაში. აღნიშნული კანონის თანახმად კლიმატის ცვლილების მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შექმნის **დამოუკიდებელ საექსპერტო საკონსულტაციო ჯგუფს**, რომელიც კლიმატის ცვლილების მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს და მთავრობას უზრუნველყოფს რჩევებით, ანალიზით, ინფორმაციით და სხვა მხარდაჭერით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საგზაო რუკა

საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის განხორციელების საგზაო რუკა

დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის მიზანია, 2050 წლისთვის საქართველო გახდეს კლიმატნეიტრალური სახელმწიფო, რომელსაც კლიმატის ცვლილების მიმართ ძლიერი ადაპტაციის შესაძლებლობები გააჩნია. ამ მიზნების მისაღწევად შემუშავდა შემდეგი საგზაო რუკა, რომელშიც, თემატური მიმართულებების მიხედვით, მოცემულია ძირითადი მიღწევები/ნაბიჯები 2024-2050 პერიოდზე და პასუხისმგებელი ინსტიტუციები.

პასუხისმგებელი ინსტიტუციები:

- კომერციული ბანკები
- ეროვნული ბანკი
- ფონდები
- მუნიციპალიტეტები
- საქართველოს მთავრობა
- საქართველოს პარლამენტი
- ფინანსთა სამინისტრო
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
- კლიმატის ცვლილების საბჭო
- დარგობრივი სამინისტროები
- დაინტერესებული მხარეები
- სხვა ფინანსური შუამავლები / ინსტიტუტები

წლების მიხედვით განახლება

ფინანსური

- მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერება მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებით
- მწვანე დაფინანსების ანალიტიკური მოდელების ჩამოყალიბება და დანერგვა
- სხვადასხვა ტიპის მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება და ამოქმედება
  - საჯარო-კერძო თანამშრომლობის გაძლიერება დაბალემისიიანი და კლიმატმედეგი განვითარებისთვის
  - სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი საკრედიტო გარანტიების სქემების შემუშავება
  - მწვანე ფინანსური პროდუქტების ადგილობრივი ვერიფიკატორებისა და სერტიფიკატორების განვითარება
  - საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავება კლიმატის/მწვანე დაფინანსების მიმართულებით
  - საერთაშორისო კლიმატური ფონდების აკრედიტებული ინსტიტუტების რაოდენობის ზრდა ქვეყანაში

საგანმანათლებლო

- კლიმატის ცვლილების საკითხების ინტეგრირება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში და პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში
- სექტორულ სტრატეგიებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირება
- კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების განვითარება, რომლებიც იმუშავებენ კლიმატის ცვლილების საკითხებზეც

სამართლიანი გადასვლა

- კლიმატის კანონის საფუძველზე სამართლიანი გადასვლის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა
  - დარგობრივ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში სამართლიანი გადასვლის საკითხების ასახვა
  - სამართლიანი გადასვლის ფონდის შექმნა, რომელიც შეიძლება იყოს ან დამოუკიდებელი ან ინტეგრირებული სხვა ეროვნულ ფონდებში
  - მოწყვლად სექტორებში დასაქმებული პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შექმნა

გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა

- პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავება
- ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება
- მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი
- გენდერული ბიუჯეტირება
- კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა
- შესაძლებლობების გაძლიერება და განათლება
- საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის კამპანიები

კომუნიკაცია

- საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის კომუნიკაციის გეგმის განხორციელება

მონიტორინგი და შეფასება

- ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიში (BTR) კლიმატის ცვლილების შესახებ
  - ადაპტაციის ეროვნული გეგმის პროგრესის ანგარიშები
- ეროვნული შეტყობინებები კლიმატის ცვლილების შესახებ
- სათბურის აირების ინვენტარიზაციის ეროვნული ანგარიშები
- კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები
- დარგობრივი სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები
  - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროგრეს ანგარიში
- კლიმატის ცვლილების ადგილობრივი სტრატეგიების პროგრესის ანგარიშები

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია (2023). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.undp.org/ka/georgia/publications/georgia-low-emission-development-strategy-2050
2. მმართველობის რეგულაცია (EU) 2018/1999, https://www.energy-community.org/legal/acquis.html
3. International Labour Organisation (2020). Assessment of the Social Protection System in Georgia, . Available at: https://www.developmentpathways.co.uk/wp-content/uploads/2021/02/ILO-Georgia.pdf
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done
5. International Labour Organization (2019). Skills and jobs mismatch in low- and middle-income countries, Available at https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/documents/publication/wcms_726816.pdf
6. World Bank (2023). Georgia, Keeping the Reform Momentum. A Systematic Country Diagnostic Update, Available at: https://openknowledge.worldbank.org/entities/publication/3230fca2-eb9b-4877-ac65-ba249ff8b8a5
7. Galt & Tagart (2020). Georgia's Education Sector, Available at: https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2021-05/25610.pdf
8. NDC partnership (2023). Socio-economic impacts of Georgia's decarbonization pathway
9. ბელთაძე, პ. სოციალური დიალოგი საქართველოში (2020). ხელმისაწვდომია ბმულზე https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16267.pdf
10. Vardosanidze, k., Kiss, C., (2023). Access To Environmental Justice In Georgia Baseline Assessment https://www.undp.org/ka/georgia/publications/environmental-justice

დანართი 1.
კომუნიკაციის გეგმა

კარგად დაგეგმილი და სწორად აღსრულებული კომუნიკაცია მნიშვნელოვანი კომპონენტია საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის წარმატებით განხორციელებისთვის. ამ თავში აღწერილია, როგორ შეიძლება მივუდგეთ კომუნიკაციას სტრატეგიულად და იდენტიფიცირებულია ძირითადი სამიზნე ჯგუფები, საკომუნიკაციო გზავნილები და არხები, იმისთვის, რომ კონცეფციის მიღწევებისა და მიზნების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და მარტივად გასაგები იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

საკომუნიკაციო მიზანი

საკომუნიკაციო სტრატეგიის მთავარი მიზანია, ყველა დაინტერესებული მხარე სწორად აღიქვამდეს და უჭერდეს მხარს კონცეფციის ხედვას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა:

- კონცეფციის გარშემო ცნობიერების ამაღლება
- სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობის გაზრდა
- კოორდინირებული მუშაობა
- საზოგადოების ნდობის მოპოვება პროცესების გამჭვირვალობის გზით

საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისად, გამოიყო 6 სამიზნე აუდიტორია (საჯარო სექტორი, კერძო სექტორი, არასამთავრობო სექტორი, საერთაშორისო პარტნიორები და დონორები, მედია, ფართო საზოგადოება); ჩამოყალიბდა თითოეულზე მორგებული გზავნილები; და განისაზღვრა ამ გზავნილების გასავრცელებლად საჭირო არხები და მეთოდები.

ცხრილი 5 - კომუნიკაციების მატრიცა

სამიზნე აუდიტორია	საკომუნიკაციო გზავნილი	არხი
საჯარო სექტორი	კონცეფციის მიზნების მისაღწევად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ყველა საჯარო უწყების კოორდინირებული მუშაობა და დოკუმენტის ინტეგრირება სხვადასხვა მიმართულების ეროვნულ პოლიტიკებთან და სტრატეგიებთან	• კლიმატის ცვლილების საბჭოს ფარგლებში მონაწილეობა • სამუშაო შეხვედრები • პოლიტიკური ფორუმები და კონფერენციები • იმეილკომუნიკაცია, ნიუსლეთერი და ინტრანეტი (შიდა საკომუნიკაციო ქსელი)
კერძო სექტორი	მდგრად ბიზნეს მოდელებზე გადასვლას ახლავს უამრავი ეკონომიკური შესაძლებლობა და ინოვაციის პოტენციალი, რისი გამოყენებაც ბიზნესს შეუძლია საკუთარი ინტერესებისთვის	• ვებინარები და სემინარები სხვადასხვა ინდუსტრიისთვის • ბიზნესფორუმები • სატელევიზიო ეთერები და სტატიები ციფრულ მედიაში • სოციალური მედიის კამპანიები • ინდუსტრიის დაჯილდოების კამპანიები
არასამთავრობო სექტორი	დეგგსკ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის გლობალური ძალისხმევის ნაწილია, ამიტომ საქართველო საჭიროებს საერთაშორისო მხარდაჭერასა და ფინანსურ დახმარებას სტრატეგიის აღსასრულებლად	• საერთაშორისო კონფერენციები და ფორუმები • პირდაპირი კომუნიკაცია დიპლომატიურ მისიებთან, კლიმატის ფონდებთან და მრავალმხრივ (მულტილატერულ) დონორ ორგანიზაციებთან • ოფიციალური განცხადებები • თანამშრომლობა კლიმატის საერთაშორისო ორგანიზაციებთან • შეხვედრები კონსისტენტური პერიოდულობით არსებულ დონორებთან და პარტნიორებთან პროგრესის შესახებ ინფორმირებისთვის • შემაჯამებელი ანგარიშები
მედია	დეგგსკ არის კლიმატის ცვლილების შესახებ ქვეყნის გრძელვადიანი ხედვის არსებული მთავარი დოკუმენტი, ამიტომ მნიშვნელოვანია, მედიამ თვალი ადევნოს მის განხორციელებას და უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება	• ვორკშოპები • საველე ვიზიტები • პრესკონფერენციები, ბრიფინგები და პრესრელიზები • ინტერვიუები • სპეციალური ონლაინ პორტალი მედია რესურსებისთვის
ფართო საზოგადოება	კონცეფციის აღსრულება თითოეული ჩვენთაგანისთვის უზრუნველყოფს სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღებას; მდგრადი მომავლისთვის, კონცეფციის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი მონაწილეობა ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა.	• საგანმანათლებლო პროგრამები • პარტნიორობა გადაცემასთან • სტუმრობა სატელევიზიო ეთერებში და ნიუსგაშუქება • სოციალური რეკლამა • სტატიები ონლაინმედიაში • ფეისბუქი • ლინკდინი • ტიკტოკი • ნებისმიერი სხვა სოციალური ქსელი, რომელიც კონცეფციის აღსრულების გრძელვადიან პერიოდში კონკრეტულ დროს იქნება აქტუალური

სამიზნე აუდიტორიების მიმოხილვა

საჯარო სექტორი - ამ ჯგუფში ერთიანდება ყველა ის საჯარო უწყება, რომელიც რაიმე ფორმით ჩართულია კონცეფციის აღსრულების პროცესში. ზოგი მათგანი შესაძლოა, ჯერჯერობით ნათლად ვერ ხედავდეს თავისი საქმიანობის კავშირს ამ სტრატეგიასთან, ამიტომ ამ აუდიტორიასთან მუშაობისას, პირველ ეტაპზე, ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ დაინახონ, რა როლი აქვთ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის პროცესში. შემდეგ კი დარწმუნდნენ, რომ თავიანთი საქმიანობის მოყვანა დეგგსკ-სთან თანხვედრაში არის სტრატეგიული ნაბიჯი მდგრადი განვითარებისთვის; რომ პოლიტიკებში კონცეფციის მიზნების ინტეგრირებით საქართველო წვლილს შეიტანს კლიმატის ცვლილებასთან გლობალურ ბრძოლაში; და რომ ერთად მუშაობა აუცილებელია, რათა ემისიების შემცირებასთან და ადაპტაციასთან დაკავშირებულ ჩვენს მიზნებს მივაღწიოთ და უზრუნველვყოთ მწვანე მომავალი ჩვენი ერისთვის.

კერძო სექტორი - ამ ჯგუფში მოიაზრებიან მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესები, რომელთან კომუნიკაციისასაც ხაზი უნდა გაესვას ეკონომიკური სარგებლის შესაძლებლობებს, რომლებიც კონცეფციის განხორციელებას მოაქვს. ბიზნესებმა უნდა დაინახონ, რომ მდგრადი პრაქტიკების დანერგვა არა მარტო ემისიების შემცირებაში გვეხმარება, არამედ ხსნის კარს ინოვაციებისა და ეფექტიანობისთვის. მნიშვნელოვანია აქცენტირება, რომ ამ სტრატეგიით იქმნება ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი და ფინანსურად მომგებიანი ბიზნესგარემო.

არასამთავრობო სექტორი - ამ ჯგუფში შედიან არასამთავრობო დარგობრივი ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და დამოუკიდებელი თემატური ექსპერტები. ამ ჯგუფის ადვოკატირება და ექსპერტიზა უმნიშვნელოვანესია კონცეფციის წარმატებისთვის. მათთან მუშაობისას აუცილებელია კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და თანამშრომლობისთვის მზაობის გამოხატვა. ხაზი უნდა გაესვას, რომ მხოლოდ ერთად შეგვიძლია, დეგგსკ-ის ხედვა ვაქციოთ მდგრადი განვითარების მოდელად, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ყველა ჯგუფის საჭიროებებს.

საერთაშორისო პარტნიორები და დონორები - ამ ჯგუფში ერთიანდება ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორები, საერთაშორისო ორგანიზაციები, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფონდები, სხვა ამჟამინდელი თუ პოტენციური დონორები. მათთან კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია დემონსტრირება, რომ საქართველო ერთგულია საუკუნის შუისთვის კლიმატნეიტრალურობის მიღწევის მიზნისა და რომ ამ გზაზე სჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა.

მედია - ამ ჯგუფში ერთიანდებიან როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტები ტრადიციული და ციფრული მედიიდან. მედია გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, ამიტომ კონცეფციის ირგვლივ საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად მედიასთან აქტიური თანამშრომლობაა

საჭირო. აქ გამოწვევაა ის, რომ შესაძლოა, თავად ჟურნალისტებსაც უჭირდეთ კონცეფციასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების გაგება, ამიტომ მნიშვნელოვანია ჯერ მედიის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება, რასაც შემდეგ ფართო საზოგადოების ინფორმირებულობა მოჰყვება.

ფართო საზოგადოება - აქ ერთიანდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი, ყველა ის ადამიანი, რომელზეც კონცეფციის განხორციელებას ექნება რაიმე სახის გავლენა. ამ სამიზნე ჯგუფთან სამუშაოდ მნიშვნელოვანია, აიხსნას, რა არის და რატომ არის კლიმატნეიტრალურობის მიღწევა მნიშვნელოვანი, რას ნიშნავს ადაპტაცია და ადაპტაციის ზომები, რატომ არის მნიშვნელოვანი მედეგობის უზრუნველყოფა, რა როლი აქვს თითოეულ მოქალაქეს ამ პროცესებში და რა გავლენა შეიძლება იქონიოს დაგეგმილმა ცვლილებებმა თითოეულ ჩვენგანზე.

საკომუნიკაციო არხები და მეთოდები

საკომუნიკაციო მიზნის მისაღწევად და შერჩეულ აუდიტორიებამდე შესაბამისი გზავნილების მისატანად საჭირო იქნება სამი ძირითადი საკომუნიკაციო არხის გამოყენება:

მედიახილვადობა	ციფრული კომუნიკაცია	პირისპირ კომუნიკაცია

მედიახილვადობა

მედიახილვადობის კომპონენტში ძირითადი სამიზნე აუდიტორია უნდა იყოს ფართო საზოგადოება. ასევე, ამ არხით შეგვიძლია ვესაუბროთ კერძო სექტორსაც. ამ კომპონენტში სასარგებლო იქნება შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- სოციალური რეკლამა
- პარტნიორობა გადაცემასთან
- სტუმრობა სატელევიზიო ეთერებში
- გაშუქება ახალ ამბებში
- სტატიები ონლაინმედიაში

სოციალური რეკლამა: შესაძლებელია მომზადდეს 30-წამიანი გრაფიკული ვიდეორგოლების სერია, რომლებშიც ახსნილი იქნება, კლიმატის რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ ამჟამად; რისი გაკეთებაა საჭირო ეროვნულ დონეზე, რომ ეს საფრთხეები შერბილდეს; რისი გაკეთება შეგვიძლია თითოეულ მოქალაქეს ამ პროცესში; რა არის

დეგგსკ და რატომ გახდა საჭირო მისი შემუშავება; რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ კონცეფციის განხორციელებისას და როგორ აისახება ეს ჩვენს ყოველდღიურობაზე. ვიდეორგოლები უნდა განთავსდეს სოციალური რეკლამის სტატუსით ტელევიზიების სარეკლამო ბადეებში.

პარტნიორობა გადაცემასთან: შესაძლებელია დაიგეგმოს პარტნიორობა რომელიმე სატელევიზიო გადაცემასთან და მომზადდეს 8-10-წუთიანი რუბრიკა, სტუდიური პირდაპირი ჩართვების ფორმატით, საშუალოდ, ორ კვირაში ერთხელ სიხშირით. წინასწარ უნდა გაიწეროს ჩართვის თემები. მაგ.: ა) განათლება: რა პროფესიებზე მოთხოვნას გააჩენს კონცეფციის განხორციელება; ბ) სოციალური და გენდერული საკითხები: რა გენდერ-სპეციფიკურ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს ქმნის დეგგსკ; გ) წარმატების ისტორიები: კონკრეტული ბიზნესების მაგალითები, როგორ შეძლეს მდგრად მოდელზე გადასვლა; დ) ინოვაციური ტექნოლოგიები: როგორ გვეხმარება ინოვაციური ტექნოლოგიები დაბალემისიიან განვითარებაში; და სხვ. თითოეულ ჩართვაში შეიძლება სტუმრად იყოს მიწვეული შესაბამისი თემის ექსპერტი, რომელიც საკითხს ახსნის საზოგადოებისთვის გასაგები ენით.

ციფრული კომუნიკაცია

ციფრულ კომუნიკაციაში ჩვენი სამიზნე აუდიტორია მოიცავს, ფაქტობრივად, ყველა იმ ჯგუფს, რომელიც სამიზნე აუდიტორიების თავშია გაწერილი. ამ კომპონენტში საკომუნიკაციოდ გამოდგება შემდეგი მეთოდები:

- სოციალური ქსელები
- პარტნიორობა
- იმეილკომუნიკაცია

სოციალური ქსელები: ყველაზე აქტიურად შეიძლება შემდეგი სოციალური ქსელების გამოყენება: ფეისბუქი - რადგან დღეისათვის ყველაზე პოპულარული პლატფორმაა საქართველოში და გამოდგება - როგორც ფართო საზოგადოებასთან, ისე კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან სამუშაოდ; ტიკტოკი - რადგან ახალგაზრდა აუდიტორიასთან წვდომისთვის საუკეთესო საშუალებაა, ახალგაზრდა აუდიტორიასთან კავშირი კი, კონცეფციის გრძელვადიანი გეგმებიდან გამომდინარე, ჩვენი ერთერთი პრიორიტეტი უნდა იყოს; ლინკდინი - რადგან ის პროფესიულ ჯგუფებთან კომუნიკაციის ეფექტიანი გზაა.

სოციალურ ქსელებში გასავრცელებლად **ფართო საზოგადოებისთვის** უნდა მომზადდეს სხვადასხვა ფორმატის გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური (ბარათები, ინფოგრაფიკები, ანიმაციური ვიდეორგოლები, სთენდაფ ვიდეოები), მარტივი და გასაგები ენით შექმნილი საინფორმაციო მასალები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე. ამ მასალების შინაარსი მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ აუდიტორიამ დაინახოს იმ პრობლემის სიმწვავე, რის გამოც ეს დიდი ცვლილებები დაიგეგმა; გაერკვეს,

კონკრეტულად რა ცვლილებებია დაგეგმილი დაბალემისიიანი განვითარების კონცეფციის ფარგლებში; როგორ აისახება ეს ცვლილებები მასზე; და გრძელვადიან პერიოდში, რატომ არის ეს ცვლილებები სასარგებლო პირადად მისი, მისი ოჯახისა და ქვეყნისთვის. ამ საინფორმაციო მასალებს შეიძლება ავრცელებდეს ყველა იმ საჯარო უწყების სოციალური მედიის გვერდები, რომელიც იდენტიფიცირებულია დაინტერესებული მხარეების ქვეთავში.

დონორებისთვის, არასამთავრობო სექტორისა და **მედიისთვის** კი საჭიროა, სოციალურ მედიაში პერიოდულად ვავრცელებდეთ შემაჯამებელ საინფორმაციო მასალებს, რომლებიც აღწერს, კონცეფციის განხორციელების ფაზაზე რა ეტაპზე ვართ, რა მიღწევები გვაქვს ამჟამად და რა გეგმებია დასახული შემდეგი პერიოდისთვის. მასალები მიზანმიმართული და მორგებული უნდა იყოს შესაბამის აუდიტორიებზე.

პარტნიორობა: გარდა უშუალოდ ჩვენი სოციალური მედიის პლატფორმებისა, მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ პარტნიორობა, როგორც საკომუნიკაციო ინსტრუმენტი. პარტნიორობისთვის საჭიროა, იდენტიფიცირდეს ის გვერდები ფეისბუქზე და არხები ტიკტოკზე, რომლებსაც დიდი აუდიტორია ჰყავთ და ასევე, თემატურადაც ახლოს არიან ჩვენს მიზნებთან (მაგალითად, ისეთები, როგორიცაა Climate Basics). მათ შეიძლება მოამზადონ ვიდეოები ჩვენი სპიკერების/ექსპერტების მონაწილეობით ან თავად შექმნან კონტენტი, რომელშიც აუხსნიან აუდიტორიას, რა არის კლიმატნეიტრალურობა, რატომ არის ის მნიშვნელოვანი, და ჩვენ, მოქალაქეებმა როგორ უნდა შევუწყოთ ხელი ამ მიზნის მიღწევას.

იმეილკომუნიკაცია: ეს მეთოდი გამოდგება ჩვენს ყველა სამიზნე ჯგუფთან, ფართო საზოგადოების გარდა. საჭიროა, წინასწარ შედგეს სამიზნე აუდიტორიების იმეილების სია (თითოეული ჯგუსფისთვის ცალ-ცალკე) და მათთვის მომზადდეს ნიუსლეთერები და ე.წ. Toolkit-ები, რომლებიც დაეგზავნებათ 2-3 თვეში ერთხელ (პერიოდულობა დამოკიდებულია სამიზნე აუდიტორიასა და საკომუნიკაციო შინაარსის მოცულობაზე).

პირისპირ კომუნიკაცია

კომუნიკაციის ამ მიმართულებით ჩვენი სამიზნე აუდიტორია უნდა იყოს ყველა ის ჯგუფი, რომელიც სამიზნე აუდიტორიებში გვაქვს გაწერილი. პირდაპირი კომუნიკაციის მეთოდი გულისხმობს ფიზიკურ ღონისძიებებს. ამ კომპონენტში შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი მეთოდები:

- ვორკშოპები და ვებინარები
- მრგვალი მაგიდის ფორმატის დისკუსიები
- პერიოდული შეხვედრები
- ვიზიტები საგანმანათლებლო დაწესებულებებში

- დაჯილდოებები
- ჰაკათონები და დატატონები
- საერთაშორისო დღეები

ვორკშოპები: ეს მეთოდი ყველაზე მეტად გამოგვადგება **მედიის** წარმომადგენლებთან. ეს არის აუდიტორია, რომელიც საკვანძოა ინფორმაციის გავრცელებისა და ჩვენს ყველაზე დიდ აუდიტორიამდე - ფართო საზოგადოებამდე მისაღწევად, თუმცა ჟურნალისტების უმრავლესობა არ ფლობს შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას გარემოსდაცვითი, ენერგეტიკული, ეკონომიკური საკითხების გასაშუქებლად. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, მათთვის დაიგეგმოს ვორკშოპების სერია, რომელიც მათ ამ საკითხებში გარკვევაში დაეხმარება. ვორკშოპების მიზანი უნდა იყოს, ერთი მხრივ, დაგვეხმაროს მედიასთან კარგი ურთიერთობის დამყარებაში, მეორე მხრივ კი, აღჭურვოს ისინი საჭირო უნარებითა და ცოდნით იმისთვის, რომ სწორად შეძლონ კონცეფციის ირგვლივ საზოგადოების ინფორმირება.

დისკუსიები: ეს ფორმატი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება **არასამთავრობო** და **კერძო სექტორების** სამიზნე ჯგუფებთან კომუნიკაციისას. ასეთი ფორმატის შეხვედრების მიზანი უნდა იყოს, რომ - არასამთავრობო სექტორის შემთხვევაში - მივაწოდოთ ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე, როგორც დაინტერესებულ მხარეს, და მოვისმინოთ მათი უკუკავშირი. ამ აუდიტორიასთან მუდმივი კომუნიკაცია და მათი მხარდაჭერა იქნება სიგნალი საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორებისთვისაც, რომ კონცეფციის იმპლემენტაცია სწორი გზით მიდის. კერძო სექტორის წარმომადგენელთა შემთხვევაში კი, ასეთი შეხვედრები შეიძლება ემსახურებოდეს იმის განხილვას, თუ რა არის ისეთი საჭიროებები, რის წინაშეც ვდგავართ და რაც ბიზნესს შეიძლება შესაძლებლობად ექცეს (მაგ.: ახალი ტექნოლოგიების შემოტანა).

პერიოდული შეხვედრები: კომუნიკაციის ამ მეთოდს შეიძლება მივმართოთ ამჟამინდელ ან პოტენციურ **დონორებთან** ურთიერთობისას. ასევე, **საჯარო სექტორთან** სასაუბროდ. დონორების შემთხვევაში ამ შეხვედრების მიზანი იქნება, ერთი მხრივ, მათი ინფორმირება ბოლოდროინდელ პროგრესზე, მეორე მხრივ კი, კომუნიკაცია იმისა, თუ რა საჭიროებები გვაქვს ამჟამად, რაშიც მათი მხარდაჭერაა აუცილებელი. რაც შეეხება მეორე სამიზნე ჯგუფს, კერძო სექტორს, მათთან პერიოდული შეხვედრები აუცილებელია, რათა კონცეფციის განხორციელება მიმდინარეობდეს კოორდინირებულად. ასეთი შეხვედრები შეიძლება ჩატარდეს როგორც მცირე ჯგუფებთან - რამდენიმე თემატური მიმართულება ერთად, ისე გაფართოებული, სადაც მონაწილეობს ყველა იმ უწყების წარმომადგენელი, რომელიც რაიმე ფორმით ჩართულია კონცეფციის მიზნების მიღწევის პროცესში.

ვიზიტები საგანმანათლებლო დაწესებულებებში - ასეთი ვიზიტები შეიძლება ჩატარდეს სკოლებში, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან. სკოლებს აქვთ ხოლმე კარიერული განვითარების საორიენტაციო შეხვედრები და ამ ფორმატში მოსწავლეებსა და მშობლებს შეგვიძლია მივაწოდოთ ინფორმაცია, რა ტიპის სამუშაო ძალაზე არსებობს

გაზრდილი მოთხოვნის მოლოდინი მომავალ წლებში. ეს დაგვეხმარება პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და იმ კადრების მომზადებაში, ვინც კონცეფციის განხორციელების გზაზე ქვეყანას სჭირდება. ამ პროფესიებზე გაზრდილი მოთხოვნა კი კერძო სექტორს უბიძგებს, გაზარდოს მიწოდებაც.

დაჯილდოება - დაჯილდოება, როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტი, შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგ სამიზნე აუდიტორიებთან: **კერძო სექტორი, მედია** და **ფართო აუდიტორია**. კერძო სექტორისთვის შეიძლება დაწესდეს ინდუსტრიის ჯილდოები და კორპორატიული მდგრადობის წასახალისებლად, ჯილდოვდებოდნენ ის ბიზნესები, რომლებსაც მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეაქვთ კონცეფციის მიზნების მიღწევაში. მედიის შემთხვევაში, შეიძლება დაწესდეს ყოველწლიური ჯილდო საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრისთვის, რომელიც კონცეფციის ირგვლივ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. შეიძლება გამოიყოს კატეგორიები: საუკეთესო ტელესიუჟეტი, საუკეთესო სტატია ციფრულ მედიაში, საუკეთესო მულტიმედიური ნამუშევარი და ა.შ. რაც შეეხება ფართო აუდიტორიას, შესაძლოა გამოცხადდეს ხოლმე კონკურსები სკოლის მოსწავლეებისთვის: მაგალითად, ესეების კონკურსი კლიმატნეიტრალურობის თემაზე. კონკურსების მიზანი იქნება ფართო აუდიტორიაში თემის პოპულარიზაცია.

ჰაკათონები და დატათონები - ამ ტიპის შეჯიბრები გამოირჩევა იმით, რომ ნაკლები რესურსული დანახარჯით მივდივართ პრობლემების ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტამდე. კონცეფციის გამოწვევების გადასაჭრელად ჰაკათონებისა და დატატონების ორგანიზება **ფართო აუდიტორიისთვის** (უფრო მეტად კი, ახალგაზრდებისთვის) ძალიან სასარგებლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტი იქნება, ერთი მხრივ, იმით, რომ ტექნოლოგიებით დაინტერესებულ ადამიანებს ჩვენთვის საინტერესო თემების გარშემო შეკრებს და მათ შემოქმედებითობასა და ტექნოლოგიურ ცოდნას ჩვენთვის სასურველი მიზნისკენ მიმართავს, მეორე მხრივ კი, შესაძლოა მსგავსი შეჯიბრების დროს მართლაც დაიბადოს ინოვაციური იდეები, რომლებიც კონცეფციის მიზნების უფრო ეფექტიანი გზით მიღწევაში დაგვეხმარება.

საერთაშორისო დღეები - წლის განმავლობაში არის არაერთი თარიღი, რომელიც კონცეფციისთვის რელევანტური თემების აღნიშვნას ეძღვნება მსოფლიოს მასშტაბით; მაგალითად, არსებობს დედამიწის დღე, კლიმატის კვირეული, სუფთა ენერგიის დღე, გარემოს დაცვის მსოფლიო დღე და ა.შ. საჭიროა, გაკეთდეს ასეთი, ჩვენთვის რელევანტური დღეების კალენდარი და თითოეული მათგანისთვის დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები. როგორც წესი, სხვადასხვა საერთაშორისო თუ დარგობრივი ორგანიზაცია ისედაც გეგმავს ხოლმე ასეთი დღეებისთვის სხვადასხვა აქტივობას; შესაძლოა მათთან პარტნიორობის განხილვა მასშტაბების კიდევ უფრო გასაზრდელად. ასეთი ინიციატივები იქცევს მედიის ყურადღებასაც, რაც კარგი საშუალებაა თემის პოპულარიზების და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის.

კომუნიკაციის ტონი

საკომუნიკაციო ტონი უნდა იყოს **სერიოზული** - რათა ზუსტად გადმოსცეს კლიმატის ცვლილების საკითხის სიმწვავე და აქტუალობა და შესაბამისად - კონცეფციის მნიშვნელობა; თუმცა ამავე დროს - **მარტივი** - რათა გაადვილდეს რთული საკითხების გაგება და ოპტიმისტური - რათა შეძლოს დემონსტრირება, რომ გამოსავალი არსებობს, თუკი ერთად ვიმოქმედებთ და ამით წაახალისოს მოქალაქეების ჩართულობა.

რომ შევაჯამოთ, საკომუნიკაციო სტრატეგია არის ერთგვარი ხიდი კონცეფციის მიზნებსა და რეალურ ქმედებებს შორის. კომუნიკაციის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებითა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მუდმივი წახალისებით, უნდა გაჩნდეს განცდა, რომ კლიმატნეიტრალურობის მიღწევა ჩვენი, ყველას საერთო მიზანია, რომლის მიღწევაც ერთობლივი ძალისხმევით შეგვიძლია.